უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატთა შესახებ ინფორმაციის მოძიება

(სამახთღებრივი ჩახჩო და პრაქტიკა)

დოკუმენტის მომზადებაზე პასუხისმგებელია:

საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა (GDI)

დოკუმენტის მომზადება შესაძლებელი გახდა ამერიკელი ხალხის გულუხვი დახმარების წყალობით, რომელიც აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მეშვეობით იქნა გაწეული. დოკუმენტის შინაარსზე პასუხისმგებელია საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა (GDI). ის შეიძლება არ ასახავდეს აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის, USAID ან აშშ-ის მთავრობის შეხედულებებს.

სარჩევი

04 შესავალი

06 ძირითადი მიგნებები

07 საქართველოს უზენაეს სასამართლოში მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად კანდიდატების შერჩევის პროცედურა

07 ზოგადი წესი

09 საკანონმდებლო ჩარჩო

09 ინფორმაციის მოძიება საბჭოს მიერ

14 კანდიდატების საქართველოს კონსტიტუციის ან/და სხვა კანონის მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა

15 პრაქტიკა

15 იუსტიციის უმაღლეს საბჭოში გამოვლენილი ხარვეზები

26 საქართველოს პარლამენტი

შესავალი

კვლევა საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა შერჩევა-ნომინირების პროცედურის ფარგლებში საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოსა (შემდგომში „იუსტიციის საბჭო“) და საქართველოს პარლამენტის მიერ მოსამართლეობის კანდიდატთა შესახებ ინფორმაციის მოძიება-დამუშავების პროცესის მომიხილვასა და პრაქტიკაში არსებული პრობლემების გამოვლენას შეეხება. მასში აღწერილია იუსტიციის საბჭოს მოსამართლის საქმიანობის შეფასების მართვის დეპარტამენტისა და საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის სამუშაო ჯგუფის საქმიანობა და მათ მიერ 2020-2021 წლებში ჩატარებული კონკურსების ფარგლებში მოძიებული/გადამოწმებული ინფორმაციის შესაბამისობა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან.

კვლევაში ყურადღება გამახვილებულია კონკურსში მონაწილეობის მსურველ პირთა რეგისტრაცისთვის აუცილებელი ინფორმაციის წარდგენის პროცედურაზე (განაცხადის ფორმის შევსება), რეგისტრირებული კანდიდატების შესახებ საბჭოს მიერ ინფორმაციის მოძიება/გადამოწმებაზე და შემდგომ პარლამენტისთვის წარდგენილი პირების კანონთან შესაბამისობის დადგენის პროცედურაზე. განხილულია როგორც კანონმდებლობით გათვალისწინებული სტანდარტი, ასევე, გამოყენებული პრაქტიკაც.

საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენ, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევად, იუსტიციის საბჭოს ევალება გამოაცხადოს კანდიდატთა შესარჩევი კონკურსი, გამოიკვლიოს რეგისტრირებულ პირთა მიერ წარმოდგენილი და ასევე მათთან დაკავშირებული კანონით გათვალისწინებული ინფორმაცია, ჩაატაროს გასაუბრება და ამის საფუძველზე მოახდინოს კანდიდატების ნომინირება პარლამენტში. თავის მხრივ, პარლამენტი იკვლევს წარდგენილ კანდიდატთა შესაბამისობას საქართველოს კანონმდებლობასთან, ატარებს მოსმენებს და იღებს გადაწყვეტილებას საქართველოს უზენაეს სასამართლოში მათი უვადო არჩევის შესახებ. კანდიდატთა შესახებ ინფორმაციის მოძიებასთან, გადამოწმებასთან ან კანონმდებლობასთან შესაბამისობის დადგენასთან დაკავშირებული ყველა საკითხი, წარმოადგენს იუსტიციის საბჭოს მოსამართლის საქმიანობის შეფასების მართვის დეპარტამენტისა და საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის სამუშაო ჯგუფის კომპეტენციას, რაც რეგულირდება საქართველოს კონსტიტუციით, პარლამენტის რეგლამენტით და „საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანული კანონით.

იუსტიციის საბჭოს - მოსამართლის საქმიანობის შეფასების მართვის დეპარტამენტისა და საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის სამუშაო ჯგუფის მიერ გაწეული სამუშაოს ხარისხსა და სიზუსტეზე მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული იუსტიციის საბჭოსა და პარლამენტის მიერ მიღებული საბოლოო გადაწყვეტილებები. შესაბამისად, ინფორმაციის მოძიება-გადამოწმებასა და მოსამართლეობის კანდიდატთა კანონთან შესაბამისობის დადგენა აუცილებელია როგორც ინფორმირებული გადაწყვეტილების მისაღებად, ასევე, პროცესის მიმართ საზოგადოებრივი ინტერესის დასაკმაყოფილებლად, რაც, თავის მხრივ, ზრდის მართლმსაჯულების სისტემის მიმართ ნდობას.

სწორედ აქედან გამომდინარე, კვლევის მიზანია შეაფასოს იუსტიციის საბჭოს შესაბამისი დეპარტამენტისა და საქართველოს პარლამენტის სამუშაო ჯგუფის საქმიანობა უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატთა შერჩევა/ნომინირების პროცედურაში, რამდენად ამომწურავია მათ მიერ მოძიებული ინფორმაცია, გამოიყენეს თუ არა ხელთ არსებული ბერკეტები საკუთარი ვალდებულებების ჯეროვნად შესასრულებლად და ჰქონდა თუ არა ადგილი დარღვევებს.

შესავალი

კვლევის ძირითადი მიგნებები 2020 წლის 7 ოქტომბრის №1/134 განკარგულებით გამოცხადებული კონკურსის ფარგლებში 50[1] რეგისტრირებული მოსამართლის შესახებ იუსტიციის საბჭოს მიერ მოძიებულ/გადამოწმებულ ინფორმაციას და საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის მიერ ამავე კონკურსის ფარგლებში მომზადებულ დოკუმენტებს ეფუძნება.

კვლევის ფარგლებში, იუსტიციის უმაღლესი საბჭოდან გამოვითხოვეთ დოკუმენტები, რომლებიც სრულად მოიცავდა ყველა რეგისტრირებული კანდიდატის შესახებ შეგროვებულ ინფორმაციას. საბჭოს მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია აერთიანებდა კონკურსში რეგისტრაციის მიზნით კანდიდატების მიერ შევსებული განაცხადის ფორმებს და ამ პროცესში საბჭოსთვის მიწოდებულ დოკუმენტაციას (დიპლომის ასლი თანდართული ნიშნების ფურცლით, საკვალიფიკაციო საგამოცდო კომისიის მიერ გაცემული ცნობა მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარების შესახებ, საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობა, ამონაწერი შრომის წიგნაკიდან, ავტობიოგრაფია, სერტიფიკატები, გადაწყვეტილებები, პუბლიკაციები, ა.შ.), ასევე, საბჭოს შესაბამისი დეპარტამენტის მოთხოვნის საფუძველზე დამზადებულ ან/და შეგროვებულ დოკუმენტებს სხვადასხვა სახელმწიფო დაწესებულებიდან (შსს, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სამოსამართლო ეთიკის დეპარტამენტი, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახური, სს „კრედიტინფო საქართველო“, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისია, სსიპ - იუსტიციის უმაღლესი სკოლა, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტი, სასამართლოების და საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სასამართლო მენეჯმენტის დეპარტამენტის საპასუხო წერილები), ინდივიდუალური პირების მიერ შევსებულ რეკომენდაციის წერილებს და სპეციალურ კითხვარებს, ასევე, საბჭოს მიერ კანდიატების შესახებ დამოუკიდებლად მოძიებულ ინფორმაციას (მედიასა და ინტერნეტსივრცეში ხელმისაწვდომი ინფორმაცია, ინფორმაცია სამართალწარმოების პროცესში მონაწილეობის თაობაზე).

საქართველოს პარლამენტმა გადმოგვცა 2020 წლის 7 ოქტომბრის №1/134 და 2020 წლის 2 ნოემბრის №1/138 განკარგულებებით გამოცხადებული კონკურსების ფარგლებში წარდგენილი კანდიდატების შესახებ იურიდიულ საკითხთა კომიტეტის მიერ შედგენილი დოკუმენტები, კერძოდ, იურიდიულ საკითხთა კომიტეტის ოქმები, კონკურსის ფარგლებში შექმნილი სამუშაო ჯგუფის წევრების შემაჯამებელი მოსაზრება და სამუშაო ჯგუფის შემაჯამებელი სხდომის ოქმი.

1 საბოლოოდ უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა შერჩევა-ნომინირების პროცედურაში დარეგისტრირდა 52 კანდიდატი, თუმცა კვლევაში გამოყენებულია თავდაპირველად რეგისტრირებული 50 კანდიდატის შესახებ მოძიებული ინფორმაცია.

ძირითადი მიგნებები

- *რეკომენდაციის სტანდარტული ფორმა და სპეციალური კითხვარი ვერ წარმოაჩენს კანდიდატთა ინდივიდუალურ მახასიათებლებს. ასევე არ იძლევა კანდიდატთა პიროვნების შესახებ ინფორმაციის შეგროვებისა და სიღრმისეულად შესწავლის შესაძლებლობას, რადგან დასმული შეკითხვები სრულად იმეორებს მოსამართლეობის კანდიდატთა შეფასების კანონმდებლობით გათვალისწინებულ კრიტერიუმებს, არ მოითხოვს დასაბუთებას და არ იძლევა კანდიდატის კეთილსინდისიერებისა თუ კომპეტენციის ადეკვატურად შეფასების შესაძლებლობას;*

- *იუსტიცის უმაღლესი საბჭო კანდიდატების დასარეგისტრირებლად არ მოითხოვს კანონმდებლობით გათვალისწინებული დოკუმენტაციის სრულად წარდგენას;*

- *იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შესაბამისი დეპარტამენტი, ინფორმაციის მოძიება-გადამოწმებისას, რიგ შემთხვევებში, არ ადგენს რეგისტრაციის დროს დაშვებულ ხარვეზებს, ან არ ახდენს რეაგირებას შესაბამის ვადებში (დოკუმენტები, რომლებიც თავდაპირველად არ ატვირთა კანდიდატმა ელექტრონული რეგისტრაციისას, პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის სამუშაო ჯგუფმა კანდიდატებისაგან პარლამენტში წარდგინების შემდგომ გამოითხოვა);*

- *იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს მიერ კანდიდატთა შეფასებები სხვადასხვა დროს არის შედგენილი და მათი შესრულების ფორმატიც განსხვავებულია. ზოგიერთ შემთხვევაში, შეფასებები ძველია ან მითითებული არ არის მათი შედგენის თარიღი, შესაბამისად, შეიძლება ეჭვქვეშ დადგეს დოკუმენტთა აქტუალურობა;*

- *კანდიდატთა სოციალური ქსელის გამოკვლევისას, იუსტიციის უმაღლესი საბჭო დაზუსტებით ვერ/არ ამბობს აქვს თუ არა კანდიდატს რაიმე ანგარიში. იმ შემთხვევაში, თუ სოციალურ ქსელში კანდიდატის ანგარიშს მიაკვლევენ, უცნობია, როგორ დასტურდება მისი ნამდვილობა. მოძიებულ ინფორმაციაში ასევე არ არის მითითებული ანგარიშის მისამართი. აღინიშნება მხოლოდ მისი აქტივობის სტატუსი ან საჯაროობა;*

- *იურიდიულ საკითხთა კომიტეტის სამუშაო ჯგუფი იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ წარდგენილ ინფორმაციას მხოლოდ ფორმალურად ამოწმებს. მისი მანდატი, მუშაობის წესი და ვალდებულებები არავითარი დოკუმენტით არ რეგულირდება. მასალა, რომლის შეფასებაც მას ევალება, სრულიად ირაციონალურ ვადებში განიხილება (მაგალითისათვის, 3344-გვერდიანი დოკუმენტთა ნუსხა, ერთ სხდომაზე განიხილეს).*

საქართველოს უზენაეს სასამართლოში მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად კანდიდატების შერჩევის პროცედურა

ზოგადი წესი

იუსტიციის საბჭო უფლებამოსილია, გამოაცხადოს კანდიდატის შერჩევის პროცედურის დაწყება, უზრუნველყოს კონკურსის ორგანიზება, სათანადო კანდიდატების შერჩევა და მათი ნომინირება საქართველოს პარლამენტის წინაშე. მისი ვალდებულებაა, შეიმუშაოს შესარჩევ კონკურსში მონაწილეობის მსურველთა წარსადგენი განცხადების ფორმა[2] და თანდართული დოკუმენტების ნუსხა.[3] აღნიშნული დოკუმენტაცია, შემდგომში, საბჭოს შესაბამისი დეპარტამენტის მიერ კანდიდატის შესახებ ინფორმაციის დადგენილი წესით მოსაძიებლად/გადასამოწმებლად გამოიყენება.

ეს პროცედურა არსებითად მნიშვნელოვანია მოსამართლეობის კანდიდატთა შერჩევისას, რადგან მოძიებული ინფორმაცია წარმოაჩენს კანდიდატის როგორც პროფესიულ, ისე პიროვნულ მახასიათებლებს, რამაც ხელი უნდა შეუწყოს კონკურსში მონაწილეთა ობიექტურად და სრულფასოვნად შეფასებას. იმის გათვალისწინებით, რომ იუსტიციის საბჭოს წევრებს აქვთ შესაძლებლობა და ვალდებულება, კანდიდატებთან გასაუბრებამდე გაეცნონ მოძიებულ და გადამოწმებულ ინფორმაციას, მათ ეძლევათ შესაძლებლობა, გასაუბრების შეზღუდულ ფორმატში, მოძიებული ინფორმაციის საფუძველზე, კანდიდატებს უფრო კრიტიკული, პრობლემური და დეტალური კითხვები დაუსვან და არ შემოიფარგლონ მხოლოდ ზოგადი ხასიათის, აბსტრაქტული შეკითხვებით. ეს, თავის მხრივ, ამარტივებს მოკლე დროში კანდიდატის პიროვნული და პროფესიული მახასიათებლების შესახებ ინფორმაციის მიღებასა და მათ ობიექტურად შეფასებას და, ამასთანავე, აყალიბებს მონაწილეთა მიმართ მკაფიოდ ინდივიდუალურ მიდგომას.

საჯარო მოსმენის შემდგომ, იუსტიციის საბჭოს თითოეულ წევრს ევალება კანდიდატების შეფასება[4] და შესაბამისი წერილობითი დასაბუთების[5] წარდგენა, რომელიც საჯაროა. შერჩევის პროცედურის შემდგომ ეტაპზე გადადის კომპეტენტურობის კრიტერიუმით შეფასებისას დაგროვებულ ქულათა ჯამის მიხედვით საუკეთესო შედეგის მქონე იმდენი კანდიდატი, რამდენი ვაკანსიაც არის გამოცხადებული.[6] ამასთანავე, დაწესებულია ქულათა მინიმალური ბარიერიც. კანდიდატი მხოლოდ იმ შემთხვევაში გადავა შემდგომ ეტაპზე, თუ კომპეტენტურობის კრიტერიუმით შეფასებისას მის მიერ დაგროვებულ ქულათა ჯამი ქულების მაქსიმალური რაოდენობის არანაკლებ 70 პროცენტია და საქართველოს იუსტიციის საბჭოს 10-მა წევრმა მაინც მიიჩნია, რომ იგი აკმაყოფილებს ან სრულად აკმაყოფილებს

2 საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილება №1/41, 06.05.2019, დანართი №1, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3dbhcOX

3 საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონი, მუხლი 341, მე-2 პუნქტი.

4 იხ. მაგ.: საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისთვის წარსადგენი სამოსამართლო გამოცდილების არმქონე მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების ფორმა გამოყენებული ნიკოლოზ მარსაგიშვილის მიერ თამარ ალფაიძის შესაფასებლად, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3iSLKIF

5 იხ. მაგ.: საქართველოს უმაღლესი საბჭოს წევრ ნიკოლოზ მარსაგიშვილის მიერ საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის შესარჩევ კონკურსში მონაწილე კანდიდატის, თამარ ალფაიძის შეფასების დასაბუთება, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3iSLKIF

6 საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონი, მუხლი 341, მე-12 პუნქტი.

კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.[7] სწორედ ამ სიიდან ხდება კენჭისყრის წესით იუსტიციის საბჭოს მიერ თითოეული კანდიდატის პარლამენტისთვის წარდგენა.

იუსტიციის საბჭო ასევე ვალდებულია, პარლამენტს გადასცეს წარდგენილი კანდიდატების შესახებ მოძიებული და გადამოწმებული ინფორმაცია. ეს, თავის მხრივ, პარლამენტში საჯარო მოსმენის პროცედურაზე ახდენს გავლენას, რადგან აღნიშნული ინფორმაცია წარდგინებასთან ერთად გადაეცემა პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის ყველა წევრს. ამავე კომიტეტს ევალება იუსტიციის საბჭოს მიერ წარდგენილ კანდიდატებთან საჯარო მოსმენის წარმართვა.

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 205-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, „საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეობისა და მოსამართლეობის კანდიდატების საქართველოს კონსტიტუციის ან/და სხვა კანონის მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის ხელშეწყობის მიზნით, პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტი ქმნის რეგლამენტის 46-ე მუხლით გათვალისწინებულ სამუშაო ჯგუფს“. თუმცა, რეგლამენტში არ არის მკაფიოდ განსაზღვრული, კონკრეტულად რა ქმედებების განხორციელება ევალება ამ სტრუქტურას.

ამ პროცედურების გავლის შემდეგ, იურიდიულ საკითხთა კომიტეტი აქვეყნებს თავის არასავალდებულო ხასიათის დასკვნას რეკომენდაციასთან ერთად, რომელიც შემდგომ, პარლამენტის ბიუროს პლენარული სხდომის დღის წესრიგში შეტანის მიზნით წარედგინება.[8] საბოლოო ჯამში, საქართველოს პარლამენტის პლენარულ სხდომაზე თითოეულ კანდიდატს ცალ-ცალკე ეყრება კენჭი.[9] საქართველოს პარლამენტი უზენაესი სასამართლოს მოსამართლეს ირჩევს სრული შემადგენლობის უმრავლესობით.[10]

7 იქვე.

8 საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი, მუხლი 205, მე-4 პუნქტი.

9 საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი, მუხლი 205, მე-6 პუნქტი.

10 საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონის 36-ე მუხლი, მე-2 პუნქტი.

საკანონმდებლო ჩარჩო

ინფორმაციის მოძიება საბჭოს მიერ

ზოგადად, მოსამართლეობის კანდიდატთა და, მათ შორის, უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის მსურველთა შესახებ ინფორმაციის მოძიება/შემოწმება „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით რეგულირდება. იუსტიციის საბჭო ადგენს პროცედურაში მონაწილეობისათვის წარსადგენი განცხადების ფორმასა და თანდართული დოკუმენტების ნუსხას.[11]

მოსამართლის კანდიდატის განაცხადის ფორმა

მოსამართლის კანდიდატის განაცხადი[12] რამდენიმე ქვეთავადაა გამოყოფილი, კერძოდ:

- *პერსონალური მონაცემები;*
- *ინფორმაცია განათლების შესახებ;*
- *სამუშაო გამოცდილება;*
- *დამატებითი განათლება და პროფესიული წვრთნა;*
- *ინფორმაცია მიღწევების შესახებ;*
- *ენების ცოდნა;*
- *კომპიუტერული პროგრამების ცოდნა;*
- *პოლიტიკური ან საზოგადოებრივი ორგანიზაციის წევრობა;*
- *ინფორმაცია ოჯახის წევრების შესახებ;*
- *ინფორმაცია ოჯახის წევრების სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შესახებ;*
- *სამართალწარმოება მონაწილის მიმართ;*
- *თვითშეფასება;*
- *რეკომენდატორები.*

„საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანული კანონის 341 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, „პირის მიერ წარდგენილი განცხადება და დოკუმენტები (მათ შორის, ავტობიოგრაფია) უნდა შეიცავდეს სათანადო ინფორმაციას მის მიერ მოსამართლის საკვალიფიკაციო მოთხოვნების დაკმაყოფილების თაობაზე“. ამავე განაცხადის ფორმაში გვხვდება არაერთი შეკითხვა, რომელიც იუსტიციის საბჭოს შესაბამის დეპარტამენტს მისცემს შესაძლებლობას, საჭიროების შემთხვევაში, უფრო დეტალურად გაეცნოს ან გამოიკვლიოს კანდიდატის პიროვნული თუ პროფესიული თვისებები. მაგალითად, სამუშაო გამოცდილების გრაფაში ერთ-ერთი მოთხოვნა გულისხმობს როგორც საქმიანობის შინაარსის მითითებას, ასევე, მითითებული თანამდებობიდან წამოსვლის მიზეზის დასახელებასაც.

გარდა კანონით გათვალისწინებული მოთხოვნებისა, შესაძლებელია განაცხადის

11 საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონი, მუხლი 341, მე-2 პუნქტი.

12 იქვე. დანართი №1.

შინაარსობრივი განვრცობაც. ამასთანავე, იმის გათვალისწინებით, რომ განცხადების ფორმა იუსტიციის საბჭოს შესაბამისი დეპარტამენტისათვის საწყისი წერტილია კანდიდატის შესახებ ინფორმაციის მოძიების პროცესში, აუცილებელია, შევსებული ინფორმაცია ამომწურავი იყოს. თუმცა განაცხადის ფორმა არ იძლევა შესაძლებლობას, შესაბამისმა დეპარტამენტმა სრულად დაადგინოს მოსაძიებელი, რელევანტური ინფორმაცია. ამის საილუსტრაციოდ შეგვიძლია განვიხილოთ რამდენიმე მაგალითი, კერძოდ: გრაფაში, „ინფორმაცია მიღწევების შესახებ", პედაგოგიური საქმიანობის განხორციელების შემთხვევაში, განაცხადის ფორმაში კანდიდატმა უნდა მიუთითოს საკუთარი კურსის დასახელება, უმაღლესი სასწავლებელი და კურსის ხანგრძლივობა. თუმცა მას არ ევალება ისეთი შინაარსობრივი ინფორმაციის წარდგენა, როგორიცაა საკუთარი სალექციო კურსის სასწავლო გეგმა, გამოყენებული მასალა და ა.შ., რაც უკეთესად წარმოაჩენდა კანდიდატის პედაგოგიურ უნარებს, საქმიანობის ხარისხსა და შესაბამის სფეროში მეცნიერულ-სამართლებრივი ნაშრომების მიმართ ინტერესს. კანდიდატის გადაწყვეტილება იმის შესახებ, თუ რას ასწავლის იგი იურიდიული სფეროს მომავალ წარმომადგენლებს, მიუთითებს ამავე სფეროში მისთვის პრიორიტეტულ თუ პრობლემურ საკითხებზე, აქტუალურ ლიტერატურასა და ზოგადად პროფესიულ პასუხიმგებლობაზე. ასევე, პოლიტიკური ან საზოგადოებრივი ორგანიზაციის წევრობის გრაფაში შეკითხვა - „ხართ თუ არა რომელიმე საზოგადოებრივი ორგანიზაციის წევრი?" - გამორიცხავს წარსულში მსგავსი ორგანიზაციის წევრობის შესახებ ინფორმაციის გამჟღავნების ვალდებულებას.

მიუხედავად იმისა, რომ კანონი მოსამართლეს ან მოსამართლეობის კანდიდატს მართლმსაჯულების სისტემაში მუშაობისას, გარკვეულწილად, უზღუდავს საზოგადოებრივ პროცესებში აქტიურ მონაწილეობას, მნიშვნელოვანია, რომ იუსტიციის საბჭო კანდიდატის შეფასებისას ყურადღებას ამახვილებდეს არა მხოლოდ მონაწილის მოღვაწეობაზე პოლიტიკურ ან საზოგადოებრივ ორგანიზაციაში კონკურსის მიმდინარეობისას, არამედ წარსულ გამოცილებაზეც.

კანდიდატის შესახებ ამომწურავი ინფორმაციის მოძიება არ ხდება არც „თვითშეფასების" ნაწილში, სადაც ყველა კითხვა ატარებს პოზიტიურ კონოტაციას:

- *რას მიიჩნევთ თქვენს ყველაზე დიდ მიღწევად კარიერაში?*
- *მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევი კრიტერიუმებიდან მიუთითეთ, სულ მცირე, სამი კრიტერიუმი, რომელშიც წარმატებულად გრძნობთ თავს;*
- *რატომ არის მოსამართლედ მუშაობა თქვენთვის მნიშვნელოვანი და რა წარმოდგენა გაქვთ ზოგადად მოსამართლის სტატუსზე?*
- *თქვენი დანიშვნის შემთხვევაში, რა სარგებლის მოტანა შეგიძლიათ სასამართლო სისტემისთვის და რატომ თვლით, რომ თქვენი კანდიდატურა შეესაბამება დადგენილ სტანდარტებს?*

კანდიდატის თვითშეფასების შესახებ ინფორმაციის შეგროვებისას, პოზიტიურ მახასიათებლებთან ერთად არანაკლებ მნიშვნელოვანია მისი თვითკრიტიკა და თვითშემეცნება. ყურადღება უნდა გამახვილდეს არა მხოლოდ მის ძლიერ, არამედ სუსტ მხარეებზეც. შესაბამისად, კანდიდატთა მიერ შესავსები განცხადების ფორმაც უნდა შეიცავდეს შესაბამის ჩანაწერს.

ამასთანავე, სასურველია, იუსტიციის საბჭოს შეეძლოს კანდიდატის მიერ საჯაროდ გამოთქმული განცხადებების შესახებ ინფორმაციის მოძიება. იქიდან გამომდინარე, რომ სოციალურ ქსელში რეგისტრირებული პირები, გარკვეულწილად, გამოხატავენ საკუთარ თავს და საზოგადოებისთვისაც განსაკუთრებით საინტერესოა, როგორია მათი მოსაზრებები, რა მსოფლმხედველობა და ღირებულებები აქვს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატს, საჭიროა, რომ სოციალურ ქსელებში საჯაროდ გაკეთებული განცხადებებისა და საზოგადოებასთან საჯარო ურთიერთობის შესახებ ინფორმაციის მოძიება ხელმისაწვდომი იყოს იუსტიციის საბჭოსთვის. ამის გათვალისწინებით, განაცხადის ფორმას, სასურველია, დაემატოს გრაფა, რომელშიც კანდიდატი სხვადასხვა სოციალურ ქსელში საკუთარ ანგარიშებზე მიუთითებს.

თანდართული დოკუმენტების ნუსხა

ზემოთ აღნიშნული დოკუმენტების გარდა იუსტიციის საბჭო ასევე გამოითხოვს:

- *ავტობიოგრაფიას;*
- *დიპლომის ასლს თანდართული ნიშნების ფურცლით;*
- *სამედიცინო დასკვნას ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ (ფორმა №100);*
- *საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობას;*
- *ამონაწერს შრომის წიგნაკიდან/ ნამსახურობის ნუსხა;*
- *სამართლებრივი დოკუმენტები (სამეცნიერო და სხვა სახის პუბლიკაციები, სამართლებრივი დასკვნა/მოსაზრება, სასამართლო გადაწყვეტილება და ა.შ.) კომპეტენტურობის კრიტერიუმის ცალკეული მახასიათებლების, მათ შორის, წერის უნარის შესაფასებლად;*
- *სერთიფიკატები (ასეთის არსებობის შემთხვევაში);*
- *თანხმობა ინფორმაციის/მოძიება გადამოწმებაზე და საქართველოს პარლამენტისთვის გადაცემაზე/გასაჯაროებაზე.*

ინფორმაციის შეგროვებისა და კანდიდატთა რეგისტრაციის შემდეგ, იწყება ინფორმაციის მოძიება-გადამოწმება.

ინფორმაციის მოძიების წესი

„საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანული კანონის 34[2] მუხლი ადგენს კანდიდატების შესახებ ინფორმაციის მოძიების ძირითად წესს. იუსტიციის საბჭოში არსებულ მოსამართლის საქმიანობის შეფასების მართვის დეპარტამენტს ევალება საფუძვლიანად შეისწავლოს კანდიდატთა პროფესიული რეპუტაცია და საქმიანობა, შეამოწმოს კანდიდატების წარდგენილი ინფორმაციის სიზუსტე, აგრეთვე, ინფორმაცია მათ მიმართ წარსულში არსებული სისხლისსამართლებრივი დევნის/დისციპლინური დევნის ან/და ადმინისტრაციული წარმოების თაობაზე. ასევე „აქვს უფლებამოსილება, დაუკავშირდეს კანდიდატების რეკომენდატორებს, ყოფილ დამსაქმებლებსა და კოლეგებს, შესაბამისი სასწავლებლების ადმინისტრაციასა და აკადემიურ პერსონალს, აგრეთვე იმ უწყებებს, სადაც შესაძლებელია ინახებოდეს ინფორმაცია კანდიდატების ნასამართლობის, ადმინისტრაციულ და

დისციპლინურ დავებში მონაწილეობისა და მათ მიერ დარღვევის ჩადენის შესახებ".[13] ამისთვის აუცილებელია კანდიდატის წერილობითი თანხმობა.

იუსტიციის საბჭოს №1/41 გადაწყვეტილება აგრეთვე შეიცავს რეკომენდაციის სტანდარტულ ფორმასა[14] და სპეციალურ კითხვარს.[15] დამატებითი ინფორმაციის მოკვლევის მიზნით, კანონის საფუძველზე, გამონაკლისის სახით, შესაძლებელია ინფორმაციის მიმწოდებელს დეპარტამენტმა დამატებითი შეკითხვებით მიმართოს ან/და ინფორმაციის მისაღებად მის მიმწოდებელთან ზეპირი კომუნიკაცია დაამყაროს, რაც აუცილებლად წერილობით უნდა გაფორმდეს და ინფორმაციის მიმწოდებელმა ხელმოწერით დაადასტუროს[16]. ასეთ შემთხვევაში კანონი არ არეგულირებს არც დამატებითი შეკითხვის ფორმას და არც ზეპირი კომუნიკაციის წერილობით გაფორმებას. თუმცა, მსგავსი დოკუმენტების შედგენის შემთხვევაში, მიღებული ინფორმაცია აუცილებლად უნდა აისახოს დეპარტამენტის მიერ კანდიდატის შესახებ შედგენილ საქმეში.

საინტერესოა რეკომენდაციის სტანდარტული ფორმისა და სპეციალური კითხვარის შინაარსიც. რეკომენდაციის სტანდარტული ფორმით მიმართვა იუსტიციის საბჭოსთვის სავალდებულოა და უმეტესად ე.წ. ღია კითხვებისგან შედგება, ხოლო სპეციალური კითხვარი შეიძლება გადაეგზავნოს ნებისმიერ პირს, რომელიც კანდიდატს შეიძლება იცნობდეს. ფორმაში კანდიდატის შესახებ მხოლოდ დახურული კითხვები გვხვდება. იუსტიციის საბჭო რეკომენდატორს და სპეციალური კითხვარის ადრესატს სთხოვს, კანდიდატი შეაფასოს იმავე კრიტერიუმებით, რომელთა გამოყენებითაც აფასებენ მას იუსტიციის საბჭოს წევრები. კერძოდ, ორივე ფორმაში მოთხოვნილია კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერებისა[17] და კომპეტენტურობის[18] კრიტერიუმების მიხედვით. თუ რეკომენდატორს საკუთარი ხელით უწევს ფორმის შევსება, სპეციალური კითხვარის ადრესატს მხოლოდ უჯრების მონიშვნა უწევს. დამატებით, რეკომენდაციის ფორმაში საბოლოო შეკითხვაა - „როგორ შეაფასებდით საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე კანდიდატის შესაბამისობას?". ხოლო სპეციალურ კითხვარში პირდაპირაა ჩამოწერილი ამ ორი კრიტერიუმის ცალკეული ასპექტების ნორმატიული განმარტებები. საინტერესოა, რომ კანონი არსად არ აყენებს მოთხოვნას, თუ ვინ უნდა იყოს რეკომენდატორი და უნდა ჰქონდეს თუ არა მას იურიდიული განათლება ან რაიმე შეხება სამართლის სფეროსთან. მიუხედავად იმისა, რომ კეთილსინდისიერების კრიტერიუმებზე პირს შეუძლია პასუხი გასცეს მხოლოდ კანდიდატის პიროვნული თვისებების შეფასებით, კომპეტენტურობის ნაწილში რეკომენდატორის შეფასება არსებითად ღირებული, მხოლოდ მისი სამართლის ცოდნის ან/და სამართლის სფეროსთან კავშირის შემთხვევაში იქნება. ეს სწორედ კომპეტენტურობის კრიტერიუმის სპეციფიკური ხასიათით არის განპირობებული.

ვინაიდან რეკომენდაციის ფორმა მიზნად უნდა ისახავდეს კანდიდატის კვალიფიკაციისა და შესაბამისი პიროვნული თვისებების წარმოჩენას, სასურველია, შესაბამისი

13 „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 34^2 მუხლის მე-5 ნაწილი.

14 საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილება №1/41, 06.05.2019,,დანართი №2.

15 იქვე. დანართი №3

16 „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 34^2 მუხლის მე-6 ნაწილი.

17 პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი, დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა, სამართლიანობა, პიროვნული და პროფესიული ქცევა, პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია.

18 სამართლის ნორმების ცოდნა, სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია, წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარი, პროფესიული თვისებები, აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა, პროფესიული აქტივობა.

მაგალითების მოხმობაც, რათა ნებისმიერ პირს, რომელიც გაეცნობა შევსებულ დოკუმენტს, შეექმნას წარმოდგენა კანდიდატის შესახებ. განზოგადებული კითხვები ამ მიზნის მისაღწევად საკმარისი არ იქნება, განსაკუთრებით მაშინ, როცა ფორმა ზედმიწევნით იმეორებს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების ნორმატიულად დადგენილ კრიტერიუმებს. ასეთი დოკუმენტის გაცნობისას რთულია თითოეული კანდიდატის ინდივიდუალიზმის შესახებ წარმოდგენის შექმნა. სასურველია, ფორმები შაბლონურად არ იმეორებდნენ კანონში განსაზღვრულ განმარტებებსა და კრიტერიუმებს და აშკარა იყოს უფრო პერსონალიზებული მიდგომა, დაისვას უფრო მეტი კითხვა კანდიდატის პიროვნული მახასიათებლებისა თუ ღირებულებითი სისტემის შესახებ.

ამგვარი პროცედურით შეგროვებული ინფორმაცია იკვრება პირად საქმედ, რომელსაც ჯერ იუსტიციის საბჭოს წევრები ეცნობიან, ხოლო შემდეგ, შესაბამისი ეტაპების გადალახვის შემთხვევაში, საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის წევრები (ან სხვა დაინტერესებული დეპუტატები).

მოძიებულ ინფორმაციას შეიძლება არსებითი გავლენა ჰქონდეს როგორც საჯარო მოსმენის მიმდინარეობაზე, ასევე კანდიდატის შეფასებასა და მის თანამდებობაზე დანიშვნაზე, ისევე როგორც პროცესის მიმართ საზოგადოებრივი ნდობის ჩამოყალიბებაზე. საზოგადოებისთვის შეგროვებული ინფორმაცია ცნობილი მხოლოდ იუსტიციის საბჭოსთვის მიმართვის ან კანდიდატთა პარლამენტში წარდგენის შემდგომ ხდება, როდესაც იუსტიციის საბჭო წარდგენილი მონაწილეების შესახებ ინფორმაციას გადასცემს საქართველოს პარლამენტს.

შერჩევის პროცესის სრულფასოვანი მონიტორინგის მიზნით კანდიდატთა შესახებ შეგროვებული ინფორმაციის გაცემა და საბჭოს მიერ ვალდებულებების ამომწურავად შესრულებაში დარწმუნება მნიშვნელოვანი საჯარო ინტერესია. აღსანიშნავია, რომ ეს მიდგომა განმტკიცდა 2019 წელს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატთა შერჩევა-დანიშვნის პროცედურის მიმდინარეობისას, როდესაც კოალიცია „დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისათვის“ წევრმა ორგანიზაციებმა გასაუბრებების დაწყებამდე იუსტიციის საბჭოს მიერ მოპოვებული ინფორმაციის დროულად დასამუშავებლად და საზოგადოებისათვის მისაწოდებლად, გამოითხოვეს ინფორმაცია კონკურსში მონაწილე კანდიდატების შესახებ. თავდაპირველად იუსტიციის საბჭომ გამოთხოვილი ინფორმაციის გაცემაზე უარი განაცხადა, მისი განმარტებით, კანდიდატთა შესახებ ინფორმაციის გასაჯაროება არღვევდა პერსონალური მონაცემების დაცვის სტანდარტს. იუსტიციის საბჭოს პასუხი ეფუძნებოდა საერთო სასამართლოების შესახებ ორგანული კანონის ჩანაწერის არასწორ განმარტებას, რომ პირი მხოლოდ საქართველოს პარლამენტისთვის ინფორმაციის (მათ შორის, პირის პერსონალური მონაცემების) გადაცემა/გასაჯაროებაზე აცხადებდა თანხმობას და არა ზოგადად გასაჯაროებაზე. გამოთხოვილი ინფორმაცია ხელმისაწვდომი საზოგადოებისთვის მხოლოდ მას შემდეგ გახდა, რაც იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ მოისმინა სახალხო დამცველისა და სახელმწიფო ინსპექტორის წარმომადგენლების პოზიციები, სადაც აღნიშნულ პროცესში ინფორმაციის საჯაროობის მნიშვნელობაზე მიეთითა.[19]

შესაბამისად, ინფორმაციის სისწორეში დარწმუნება და სრულყოფილად შევსება აუცილებელია როგორც პროცედურის ზედამხედველობის, ისე მის მიმართ ნდობის ასამაღლებლად.

19 „კოალიცია იუსტიციის უმაღლეს საბჭოში უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატთა შერჩევის პროცესს აფასებს“, 12.09.2019, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3EhNio9

უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატთა შერჩევის პროცედურა საჯარო ინტერესის საკითხია, რომელიც საზოგადოებას უკეთეს წარმოდგენას უქმნის მართლმსაჯულების სისტემაში მოღვაწე ადამიანების კვალიფიკაციისა და კეთილსინდისიერების შესახებ. ამომწურავი ინფორმაციის შეგროვება მნიშვნელოვანია როგორც იუსტიციის უმაღლესი საბჭოსა და პარლამენტის წევრების ინფორმირებისთვის, ისე, საზოგადოებრივი ჩართულობის გასაზრდელადაც.

კანდიდატების საქართველოს კონსტიტუციის ან/და სხვა კანონის მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 205-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, იუსტიციის საბჭოს მიერ წარდგენილი კანდიდატების არჩევის, დანიშვნაზე თანხმობის მიცემის საკითხს საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობებზე, იურიდიულ საკითხთა კომიტეტი განსაზღვრავს. კომიტეტის ვალდებულებაა, დაადგინოს წარმოდგენილი თანამდებობის პირის კანდიდატურის საქართველოს კონსტიტუციასთან ან/და სხვა კანონის მოთხოვნებთან შესაბამისობა. ამ მიზნის შესასრულებლად კი, კომიტეტი უფლებამოსილია მოიძიოს/გადაამოწმოს შესაბამისი თანამდებობის პირის კანდიდატურის შესახებ საჭირო ინფორმაცია, მათ შორის, მისი ბიოგრაფიული ცნობების, შრომითი გამოცდილებისა და პროფესიული ცოდნის შესახებ. პროცესის გასამარტივებლად, კანონი ითვალისწინებს რეგლამენტის 46-ე მუხლით გათვალისწინებული სამუშაო ჯგუფის შექმნას. მისი შემადგენლობა განისაზღვრება ინდივიდუალურად ყოველი ახალი სამუშაო ჯგუფის შექმნისას იურიდიულ საკითხთა კომიტეტის სხდომებზე.

პარლამენტის რეგლამენტი სამუშაო ჯგუფის მანდატს არ განსაზღვრავს, რეალურად წერილობითი სახით არ არსებობს სამუშაო ჯგუფის მუშაობის წესი ან მისი დებულება. არც სამუშაო ჯგუფის მიერ გატარებული პროცედურები აღიწერება ან დოკუმენტირდება. ხელმისაწვდომ დოკუმენტთა შორის არის მხოლოდ იურიდიულ საკითხთა კომიტეტის სხდომის ოქმები, სამუშაო ჯგუფის შემაჯამებელი სხდომის ოქმი და სამუშაო ჯგუფის შემაჯამებელი მოსაზრება. მისი უფლებამოსილება და ვალდებულებები ნორმატიული აქტით არ რეგულირდება. შესაბამისად, მათ არ გააჩნიათ რაიმე სახის დოკუმენტის მომზადების ვალდებულება. სამუშაო ჯგუფი მხოლოდ ფორმალურად განიხილავს იუსტიციის საბჭოს მიერ შეგროვებულ ინფორმაციას და არ უღრმავდება მის მატერიალურ შინაარსს.

არსებული პრაქტიკა

იუსტიციის უმაღლეს საბჭოში გამოვლენილი ხარვეზები

ზემოთ ჩამოთვლილი ნორმატიული მოწესრიგება აყალიბებს, თუ რა ინფორმაციის მოძიება და დამუშავება ევალება იუსტიციის საბჭოსა და მოსამართლის საქმიანობის შეფასების მართვის დეპარტამენტს. თუმცა, გარდა პროცესის ნორმატიულად მოწესრიგებისა, არანაკლებ მნიშვნელოვანია, კანონმდებლობის საფუძველზე პროცედურის მართლზომიერად წარმართვა.

ქვემოთ მოყვანილი ინფორმაცია და კრიტიკა 2020 წლის 7 ოქტომბრის №1/134 განკარგულებით გამოცხადებული კონკურსის ფარგლებში 5020 რეგისტრირებული კანდიდატის შესახებ იუსტიციის საბჭოს მიერ მოძიებულ/გადამოწმებულ ინფორმაციას ეფუძნება.

გამოყენებული განაცხადის ფორმა

კონკურსში გამოყენებული განაცხადის ფორმა გარკვეულწილად განსხვავდება კანონმდებლობით განსაზღვრული შაბლონური ფორმისაგან. კერძოდ, დაყოფილია შემდეგ ქვეკატეგორიებად:

- ***პერსონალური მონაცემები***
- ***საიდენტიფიკაციო დოკუმენტი***
- ***წარმოსადგენი დოკუმენტების ნუსხა:***
    - *ავტობიოგრაფია*
    - *სამედიცინო დასკვნა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ*
    - *დიპლომის ასლი თანდართული ნიშნების ფურცლით*
    - *ამონაწერი შრომის წიგნაკიდან/ნამსახურობის ნუსხა*
    - *სამეცნიერო/სხვა სახის პუბლიკაცია*
    - *სამართლებრივი დასკვნა/მოსაზრება*
    - *სასამართლო გადაწყვეტილება*
    - *სერტიფიკატი*
- ***კვალიფიკაცია:***
    - *საშუალო განათლება*
    - *უმაღლესი განათლება*
    - *დამატებითი განათლება და პროფესიული წვრთნა*
    - *ენების ცოდნა*

20 საბოლოოდ, უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა შერჩევა-ნომინირების პროცედურაში დარეგისტრირდა 52 კანდიდატი, თუმცა კვლევაში გამოყენებულია თავდაპირველად რეგისტრირებული 50 კანდიდატის შესახებ მოძიებული ინფორმაცია.

- *კომპიუტერული პროგრამების ცოდნა*

- ***სამუშაო გამოცდილება:***
  - *სამუშაო გამოცდილება*
  - *ინფორმაცია მიღწევების შესახებ*

- ***დამატებითი ინფორმაცია:***
  - *ინფორმაცია ოჯახის წევრების შესახებ*
  - *ინფორმაცია ოჯახის წევრების სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შესახებ*
  - *პოლიტიკური ან საზოგადოებრივი ორგანიზაციების წევრობა*
  - *სამართალწარმოება თქვენს მიმართ*

- ***რეკომენდატორები და თვითშეფასება***
  - *რეკომენდატორები*
  - *თვითშეფასება.*

ასევე, მიუხედავად იმისა, რომ კანონმდებლობა მოითხოვს, კანდიდატმა იუსტიციის საბჭოში წარადგინოს დოკუმენტთა კონკრეტული ნუსხა, წარმოდგენილი ინფორმაციიდან ნათლად არ იკვეთება აქვთ თუ არა კანდიდატებს ატვირთული საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობა[21] ან აღნიშნული დოკუმენტაცია არ გადაეცა საქართველოს პარლამენტს წარდგენილი კანდიდატების შემთხვევაში. ამასთანავე, ატვირთული დოკუმენტები ხშირად არის არასრული. მაგალითად, თათია გოგოლაურის, კახაბერ სოფრომაძის, ზაალ მარუაშვილის, თეა ძიმისტარაშვილისა და ნინო ნიშნიანიძის დიპლომებს თან არ ახლავს ნიშნების ფურცელი.[22]

გარდა ამისა, განაცხადის ფორმის შევსებისას არაერთი შეცდომაა დაშვებული. მაგალითად, დამატებითი განათლებისა და პროფესიული წვრთნის გრაფაში კანდიდატები არასწორად ავსებენ ინფორმაციას გავლილი სტაჟირებების, ტრენინგების, სემინარებისა და სხვა მსგავსი წვრთნების შესახებ. კერძოდ, თარიღის ნაცვლად უთითებენ ტრენინგების ხანგრძლივობას ან სავარაუდო პერიოდს.[23] სამწუხარო ტენდენციაა, რომ რიგ შემთხვევებში

21 იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ გადმოცემული დოკუმენტაციის საფუძველზე არ ჩანს, ატვირთეს თუ არა კანდიდატებმა საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობის ასლი ელექტრონული რეგისტრაციისას. თუმცა, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატების საქართველოს კონსტიტუციის ან/და სხვა კანონის მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის ხელშესაწყობად, საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის მიერ შექმნილი სამუშაო ჯგუფის წევრების შემაჯამებელი მოსაზრების თანახმად, ამავე კომიტეტმა წარდგენილ კანდიდატებს პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლის წარდგენა მოსთხოვა. შესაბამისად, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ იუსტიციის უმაღლეს საბჭოს პარლამენტისთვის ეს დოკუმენტები არ გადაუცია.

22 მოსამართლეობის კანდიდატების განაცხადის ფორმები.

23 მაგ., ივერი აბაშიძის, გოჩა აბუსერიძის, გია ბერაიას, დავით გელაშვილის, სალომე გველესიანის, გიორგი გოგიაშვილის, გიორგი გოგიჩაშვილის, ნიკოლოზ დგებუაძის, თინა ვაშაყმაძის, ეკა ზარნაძის, ლაშა თავართქილაძის, ლევან თევზაძის, ნონა თოლორაიას, გიორგი კერატიშვილის, ვეფხვია ლომიძის, გენადი მაკარიძის, თამარ ოქროპირიძის, ნინო ჩახნაშვილის და ამირან ძაბუნიძის განაცხადის ფორმა.

კანდიდატები მითითებული ტრენინგის გავლის შესახებ ინფორმაციის დასადასტურებლად არ ტვირთავენ შესაბამის სერტიფიკატებს.

აღსანიშნავია, რომ განცხადების ფორმაში კანდიდატები ასევე არ ავსებენ სრულფასოვნად სამუშაო გამოცდილების გრაფას. მითითებული არ არის უშუალო ხელმძღვანელების ვინაობა ან გათავისუფლების საფუძვლები[24], რაც დაინტერესებულ პირს უკეთეს წარმოდგენას შეუქმნიდა კანდიდატის პროფესიული მოღვაწეობის შესახებ და მისცემდა შესაძლებლობას, საჭიროების შემთხვევაში, გადაემოწმებინა, დაეზუსტებინა ან შეფასების მისაღებად, მიემართა უშუალო ხელმძღვანელისთვის, რომელსაც თანამშრომლობის ფარგლებში, ექნებოდა შესაძლებლობა საკუთარი მოსაზრება გამოეთქვა კანდიდატის შესახებ. ამასთანავე, დაინტერესებულ პირს ამ ინფორმაციის მითითებით უფრო მკაფიო წარმოდგენა შეექმნებოდა კანდიდატის პროფესიული წრთვნისა და კარიერული განვითარების შესახებ.

საინტერესოა, რომ შევსებული განაცხადის ფორმაში, კანონმდებლობით მოთხოვნილი გრაფის არსებობის მიუხედავად, ასევე არ გვხვდება ინფორმაცია ოჯახის წევრების სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შესახებ, რაც, შესაძლოა, დაკავშირებული იყოს ODIHR-ისა და ვენეციის კომისიის წარსულ კრიტიკასთან დისკრიმინაციისა და პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლების დარღვევაზე.[25]

რადგანაც თვითშეფასების ნაწილში იუსტიციის საბჭო კანდიდატებისგან პირდაპირ არ მოითხოვს პასუხთა განვრცობას ან დასაბუთებას, კანდიდატთა მიერ შევსებული განაცხადის ფორმა ლაკონურია. მოსამართლეთა უმრავლესობა საკუთარ კარიერაში ყველაზე დიდ მიღწევად ასახელებს სასამართლო სისტემაში მუშაობას ან მოსამართლედ დანიშვნას. მაგალითისათვის, ირაკლი ადეიშვილმა თავის მიღწევად დაასახელა ევროპის საბჭოს მართლმსაჯულების ეფექტიანობის ევროპული კომისიის ვიცე-პრეზიდენტად დანიშვნა, რაც, მისი აზრით, „მთლიანად ქართული მართლმსაჯულების აღიარება“ იყო.[26]

აღსანიშნავია, რომ მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევი კრიტერიუმებიდან ისეთი სამი კრიტერიუმის დასახელებისას, რომლებშიც კანდიდატები თავს წარმატებულად გრძნობენ, ხშირად, პასუხი დაუსაბუთებელია და მხოლოდ ნორმატიულ მოთხოვნათა ჩამონათვალით ამოიწურება.[27] კანდიდატები არ ხსნიან, თუ რატომ მიიჩნევენ თავს ამა თუ იმ კუთხით წარმატებულად და რაში გამოიხატება წარმატება. ამასთანავე, მოსამართლედ მუშაობის მნიშვნელობასა და ზოგადად მოსამართლის სტატუსზე საუბრისას,

24 მაგ., გია ბერაიას, ლაშა თავართქილაძის, ნონა თოლორაიას, გიორგი კერატიშვილის, ვეფხვია ლომიძის, ნინო ონიანის, თამარ ოქროპირიძის და მადი ჩანტლაძის განაცხადის ფორმა.

25 ეუთოს/ODIHR-ის ანგარიში, საქართველოში უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა წარდგენისა და დანიშვნის მესამე ანგარიში, დეკემბერი 2020 – ივნისი 2021, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3G6NJSJ

26 ირაკლი ადეიშვილის მოსამართლეობის კანდიდატის განაცხადის ფორმა.

27 მაგ., გიორგი კერატიშვილმა განმარტა, რომ იგი თავს წარმატებულად მიიჩნევდა შემდეგ სამ კრიტერუმში: „სამართლის ნორმების ცოდნა, სამართლებრივი დასაბუთების უნარი, წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარი“. გენადი მაკარიძე - „ა) პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი; ბ) დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა; გ) პიროვნული და პროფესიული ქცევა; დ) პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია; დ) სამართლის ნორმების ცოდნა; ე) სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია; ვ) წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარი; ზ) აკადემიური მიღწევები და პროფესიული თვისებები; თ) პროფესიული წვრთნა; ი) პროფესიული აქტივობა“. ჩამონათვალი სრულად იმეორებს საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონის 351 მუხლში გათვალისწინებულ კრიტერიუმებს, რომელშიც ჩამოყალიბებულია კეთილსინდისიერებისა და კომპეტენტურობის კრიტერიუმები. იგივე პასუხი გვხვდება ლევან თევზაძის მიერ შევსებულ ფორმაშიც - „პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი; დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა, სამართლებრივი ნორმების ცოდნა, სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია, პროფესიული თვისებები...“

განმცხადებლები ყურადღებას ამახვილებენ მართლმსაჯულების პროცესში მონაწილეობის მიღების სურვილსა და მოსამართლეზე[28], როგორც სამართლებრივი სახელმწიფოს გარანტზე. არაერთხელ არის აღნიშნული, თუ რაოდენ საპასუხისმგებლო და შრომატევადი საქმიანობაა მოსამართლეობა.[29]

მიუხედავად ზემოთ განხილული ხარვეზებისა, განმცხადებელი 51[30] კანდიდატიდან იუსტიციის საბჭომ კონკურსში 50 დაარეგისტრირა.[31] ერთ-ერთ განმცხადებელს უარი ეთქვა კანდიდატად რეგისტრაციაზე, რადგან „ვერ დააკმაყოფილა „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 34[1] მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნა".[32]

შესაბამისად, საბჭომ გადაწყვეტილების მიღებისას არ გაითვალისწინა ელექტრონული განაცხადების მიღებისას დაშვებული ხარვეზები. გარდა ამისა, მოწოდებული დოკუმენტების საფუძველზე, არ ჩანს, შეეცადა თუ არა იუსტიციის უმაღლესი საბჭო აღმოჩენილი შეცდომების, არასრულად შევსებული განაცხადების კანონით დადგენილ ფორმაში მოყვანას, განმცხადებელთა რეგისტრაციამდე.

უმაღლეს ინსტანციაში მოსამართლის პოზიციაზე განაცხადის შევსებისას კანდიდატი განსაკუთრებულ ყურადღებას უნდა აქცევდეს, თუ როგორ წარადგენს იგი საკუთარ პიროვნებას საბჭოს წინაშე. მის მიერ შევსებული ინფორმაცია უნდა იყოს სრულყოფილი, ზუსტი და დამაჯერებელი. საბჭოს წინაშე ინფორმაციის სრულყოფილად წარდგენა უნდა მიუთითებდეს როგორც მის კეთილსინდისიერებაზე, ასევე, პიროვნულ თუ პროფესიულ პასუხისმგებლობაზე. კონკურსში რეგისტრაცია მონაწილის მიერ საკუთარი კანდიდატურის საზოგადოებისთვის წარდგენის პირველი ეტაპია. შესაბამისად, ის, თუ რა დამოკიდებულებას იჩენს მონაწილე რეგისტრაციის მიმართ, კარგად ასახავს მის დამოკიდებულებას ზოგადად კონკურსის მიმართაც.

ის ფაქტი, რომ კანდიდატები უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის განაცხადის ფორმას არასრულად, ზედაპირულად ავსებენ და ამასთანავე, უშვებენ არაერთ შეცდომას, მიუთითებს როგორც კანდიდატთა არასერიოზულ დამოკიდებულებაზე პროცესის მიმართ, ასევე, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს უუნარობაზე ან, უარეს შემთხვევაში, ნების არქონაზე, კონკურსზე რეგისტრაციისას კანდიდატებისთვის შექმნას მტკიცე, კონკურენტული გარემო. მიუხედავად იმისა, რომ კანონმდებლობა ითვალისწინებს ელექტრონული რეგისტრაციის

28 მაგ., პაატა სილაგაძემ განმარტა - „მთელი ჩემი პროფესიული კარიერა დაკავშირებულია სასამართლოსთან. შესაბამისად, იურისტისთვის კარიერაში ყველაზე მაღალი საფეხური მოსამართლეობაა".

29 მაგ., გიზო უბილავამ განმარტა, რომ „მოსამართლეობა უპირველეს ყოვლისა უდიდეს პასუხისმგებლობას გულისხმობს, არამარტო სამართლებრივ, არამედ მაღალ მორალურ პასუხისმგებლობას", ხოლო ზაალ მარუაშვილმა განაცხადა - „მოსამართლედ მუშაობა ჩემთვის მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც სასამართლო ხელისუფლებას ეკისრება შეუცვლელი როლი კონსტიტუციონალიზმისა და კანონის უზენაესობის, ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვაში; უდავოა, რომ დამოუკიდებელი, კომპეტენტური, სამართლიანი და მიუკერძოებელი სასამართლოა ის ძირითადი ფუნდამენტი, რომელსაც ემყარება დემოკრატიული სახელმწიფო, ხოლო სამართლის დანიშნულების რეალიზების, სამართლიანი სასამართლო სისტემის ფუნქციონირების ძირითადი ტვირთი ეკისრება მოსამართლეს, რომლის პიროვნებაც უნდა ამართლებდეს მოსამართლის მაღალ სტატუსს".

30 „საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის შერჩევის პროცედურაში მონაწილე განმცხადებელთა სია", 02.11.2020 ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3oV6a7J

31 „უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის მსურველები კანდიდატებად დარეგისტრირდნენ", 05.11.2020 https://bit.ly/3BzsNC1

32 საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივნის, ნიკოლოზ მარსაგიშვილის წერილი №396-01 საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს კახაბერ კუჭავას, 25.06.2021 ხელმისაწვდომია: https://bit.ly/31pQUpX

შემდეგ გარკვეული ხარვეზების გამოსწორებას, პირველივე ეტაპზე საბჭოს მიერ მოთხოვილი ინფორმაციის მითითებისგან თავის შეკავება (რაიმე ლოგიკური, საპატიო მიზეზის არარსებობის პირობებში) ააშკარავებს კანდიდატთა მანკიერ თვისებას, თავი აარიდონ არასასურველი ინფორმაციის მითითებას, მეტი დრო მოიგონ აუცილებელი დოკუმენტაციის შესაგროვებლად, ან უბრალოდ, გულგრილობას პროცედურის მიმართ (რადგან მას არ ანიჭებენ არსებით მნიშვნელობას).

ელექტრონული რეგისტრაციის პროცესის მიმართ მსგავსი არასერიოზული დამოკიდებულება იუსტიციის უმაღლესი საბჭოს პასუხიმგებლობაა. იქიდან გამომდინარე, რომ ელექტრონულ სისტემაში არ ხდება გარკვეული ინფორმაციის სრულფასოვნად მითითების მოთხოვნა, კანდიდატის გაფრთხილება, რეგისტრაციის ფორმები, რომლებსაც საბჭო იღებს, არასრულია. ეს პრობლემა ტექნიკურ გადაჭრას საჭიროებს.

თუმცა, არანაკლებ მნიშვნელოვანია ის განწყობაც, რომელსაც საბჭო ქმნის გამოცხადებული კონკურსების ფარგლებში. განაცხადის შევსებისას ინფორმაციის მითითების სტანდარტს საბჭო აყალიბებს. სწორედ მის ქმედებებზეა დამოკიდებული, კანდიდატი გამოიჩენს თუ არა სიფრთხილესა და პასუხისმგებლობას საკუთარი პიროვნების შესახებ ინფორმაციის შევსებისას. იმ შემთხვევაში, თუ განაცხადის არაჯეროვნად შევსებას საბჭოს მხრიდან მკაცრი რეაქცია მოჰყვება, მომავალი კანდიდატები განაცხადის დახარვეზების ან უარყოფის შიშით, რეგისტრაციის პროცესს მეტი პასუხისმგებლობით მოეკიდებიან. ის ფაქტი, რომ დღესდღეობით, მონაწილეები, საკუთარი კანდიდატურის წარდგენისას, პროცესის მიმართ არ იჩენენ შესაბამის პატივისცემას, მიუთითებს საბჭოს გულგრილ დამოკიდებულებაზე ხარვეზების აღმოჩენისას. შესაბამისად, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ არც თავად რეგისტრაციის მომენტში ანიჭებს საბჭო არსებით მნიშნელობას კანდიდატების ინფორმაციას, რომელიც მათ პიროვნებას ეხება, ან იჩენს გაუფრთხილებლობას რეგისტრაციის პროცესში.

ინფორმაციის შეგროვება-გადამოწმება

"საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 34[2] მუხლის პირველი ნაწილის თანახმად უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევ კანდიდატთა ობიექტურად და სრულფასოვნად შეფასების მიზნით, მათი რეგისტრაციის დასრულებისთანავე, ამ კანონით დადგენილი წესით იუსტიციის უმაღლესი საბჭო იწყებს კანდიდატების შესახებ სანდო ინფორმაციის მოძიებას.,

<u>ინფორმაცია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტიდან</u>

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დეპარტამენტს ევალებოდა, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტიდან გამოეთხოვა ინფორმაცია მოსამართლეობის კანდიდატის მიერ ბოლო სამი წლის განმავლობაში ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის შესახებ. შსს-ს მიერ გაცემული ორი საპასუხო წერილიდან ირკვევა, რომ იუსტიციის საბჭომ სამინისტროს მიმართა 50-ვე კანდიდატთან დაკავშირებით. მათგან ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტი არ დაუდასტურდა 12 კანდიდატს.[33] დარღვევათა უმეტესობა შეეხებოდა სატრანსპორტო საშუალების მძღოლის მიერ საგზაო მოძრაობის წესების დარღვევასა და იმ ავტოსატრანსპორტო საშუალების მართვას,

33 საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს წერილი MIA 52002669195, 13.11.2020; საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს წერილი MIA 22002694707, 17.11.2020.

რომელსაც დადგენილი წესით არ გაუვლია პერიოდული ტექნიკური ინსპექტირება, ან ასეთი ავტოსატრანსპორტო საშუალების სხვა პირისათვის სამართავად გადაცემას/საექსპლუატაციოდ დაშვებას. განსაკუთრებით დიდი რაოდენობის სამართალდარღვევის ფაქტი გამოვლინდა პაატა შავაძის შემთხვევაში. 2017 წლის 11 ნოემბრიდან 2020 წლის 11 ნოემბრამდე, მის სახელზე ჯამში 45 ადმინისტრაციული სამართალდარღვევა გამოვლინდა.[34]

<u>ინფორმაცია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სსიპ - შემოსავლების სამსახურიდან</u>

იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ ასევე მიმართა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სსიპ - შემოსავლების სამსახურს - ბოლო სამი წლის განმავლობაში მოსამართლეობის კანდიდატის შემოსავლის წყაროს, აქტივებისა და საგადასახადო ვალდებულებების თაობაზე. GDI-ის, იუსტიციის საბჭოდან 50-ვე კანდიდატის შესახებ მოძიებული ინფორმაციის გამოთხოვის შემდეგ, შემოსავლების სამსახურის მიერ შეგროვებული მონაცემები მხოლოდ 48 კანდიდატის შესახებ გადმოეცა. უცნობია, თუ რა მიზეზით ვერ მიიღო საბჭომ სსიპ შემოსავლების სამსახურიდან ინფორმაცია გიორგი გოგიჩაშვილისა და ნიკოლოზ დგებუაძის შესახებ.

<u>ინფორმაცია საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატების მიმართ დისციპლინური წარმოების შესახებ.</u>

მოსამართლეობის კანდიდატთა დისციპლინური გადაცდომების შესახებ ინფორმაციის გამოსათხოვად, შესაბამისმა დეპარტამენტმა იუსტიციის საბჭოს სამოსამართლო ეთიკის დეპარტამენტსა და დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურს მიმართა. დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ საპასუხოდ გამოგზავნილი წერილი შეიცავს ინფორმაციას 37 კანდიდატის შესახებ[35] რომლის მიხედვითაც, დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ დისციპლინური დევნა დაიწყო მოსამართლე ეკა ზარნაძისა და პაატა ქათამაძის მიმართ. ორივე მოსამართლის შემთხვევაში დევნა შეწყდა ან სადისციპლინო კოლეგიის მიერ მოსამართლე გამართლდა, ხოლო სამოსამართლო ეთიკის დეპარტამენტიდან 36 კანდიდატის შესახებ მიღებული წერილიდან[36] ირკვევა, რომ დისციპლინური დევნა არცერთი კანდიდატის მიმართ არ დაწყებულა. აღსანიშნავია, რომ ორივე შემთხვევაში, იუსტიციის საბჭოს შესაბამისი დეპარტამენტი კანდიდატის შესახებ წერილს იღებდა როგორც დისციპლინური დევნის, ისე, მისი არარსებობის შემთხვევაშიც. მაია კოპალეიშვილის შემთხვევაში იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ გამოითხოვა ინფორმაცია საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ეთიკისა და დისციპლინარულ საქმეთა კომისიიდან და სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან (კანდიდატს არ უფიქსირდება მის წინააღმდეგ განხორციელებული დისციპლინარული დევნა ან/და ადმინისტრაციული წარმოება). ნიკოლოზ დგებუაძის, ნონა თოლორაიასა და გიზო უბილავას შესახებ ინფორმაციის მოსაძიებლად იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შესაბამისმა დეპარტამენტმა მიმართა საქართველოს გენერალურ პროკურატრას. აღნიშნული დაწესებულების პასუხის თანახმად პირველ ორი კანდიდატის მიმართ ამჟამად დისციპლინური წარმოება არ მიმდინარეობს, ხოლო გიზო უბილავას შემთხვევაში რადგან იგი 2019 წლიდან აღარ წარმოადგენს პროკურატურის თანამშრომელს პროკურატურამ საბჭოს არ მიაწოდა ინფორმაცია მის მიმართ არსებული წარმოებების შესახებ. უკანასკნელ შემთხვევებში არ ჩანს კანდიდატების მიმართ

34 საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს წერილი MIA 22002694707, 17.11.2020.

35 დამოუკიდებელი ინსპექტორის, ზურაბ აზნაურაშვილის წერილი კანდიდატების შესახებ.

36 საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სამოსამართლო ეთიკის დეპარტამენტის უფროსის, ვალერიან გავაშელის წერილი 42-03, 13.11.2020.

კონკრეტულ პერიოდში მიმდინარეობდა თუ არა დისციპლინური წარმოება.

ინფორმაცია სს „კრედიტინფო საქართველოდან“

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შესაბამისმა დეპარტამენტმა ასევე გამოითხოვა ინფორმაცია მიმდინარე და ვადაგადაცილებული დავალიანების თაობაზე სს „კრედიტინფო საქართველოდან“ 50-ვე კანდიდატის შესახებ, თუმცა გიორგი გოგიჩაშვილის შესახებ ინფორმაცია ვერ მოიძებნა. საბჭოს მიერ შეგროვებული დოკუმენტებიდან შეუძლებელია იმის დადგენა, თუ რატომ არ იძებნება ინფორმაცია კანდიდატის შესახებ.

ინფორმაცია საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიიდან

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიიდან იუსტიციის საბჭომ პასუხი სამი ადვოკატის შესახებ მიიღო. პაატა შავაძეს, ნინო ნიშნიანიძესა და ირაკლი ადეიშვილს დისციპლინური სახდელი არ შეფარდებიათ.

ინფორმაცია სსიპ - იუსტიციის უმაღლესი სკოლიდან

იუსტიციის უმაღლესი სკოლიდან გამოთხოვილი იქნა სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს შეფასება. გადმოცემული დოკუმენტაციის თანახმად, ასეთი შეფასება გაიცა 20 კანდიდატზე. დოკუმენტები არ არის ყოველთვის ერთგვაროვანი. ზოგიერთი კანდიდატის შეფასება დასაბუთებულია[37], თუმცა რევაზ ნადარაიას შემთხვევაში მხოლოდ ქულაა მითითებული. ასევე, შეფასებები, რიგ შემთხვევებში, ძველია[38] ან დაუთარიღებელი[39]. შესაბამისად, შესაძლოა, აქტუალური ან გამოსადეგი აღარ იყოს დღეს კანდიდატთა უნარებსა თუ უპირატესობებზე წარმოდგენის შესაქმნელად.

ინფორმაცია რეკომენდაციის წერილების შესახებ

ელექტრონული რეგისტრაციისას განაცხადის ფორმა ითხოვს არანაკლებ 3 რეკომენდატორის მითითებას, თუმცა შესაბამისი დეპატრამენტის მიერ ზოგიერთი კანდიდატის შესახებ გადმოცემული იქნა 2 ან მეტი რეკომენდაციის წერილი. აქვე უნდა აღინიშნოს , რომ უმეტესად ყველა რეკომენდატორი ლაკონური პასუხებით გამოირჩეოდა. რიგ შემთხვევებში, რეკომენდაციის წერილის ღია კითხვებში ვხვდებით ერთ სიტყვიან პასუხებს. მაგალითად, ლავრენტი მაღლაკელიძის ერთ-ერთი რეკომენდაციის წერილში კეთილსინდისიერების კომპონენტში 4 კონკრეტული კრიტერიუმის შეფასებისას ვხვდებით მხოლოდ მოკლე პასუხებს “გამოირჩევა კეთილსინდისიერებით”და “მაღალი სტანდარტი”. ხოლო კომპეტენტურობის ნაწილში სამართლის ნორმების ცოდნისა და სამართლებრივი დასაბუთების უნარის და კომპეტენციის გრაფებში პასუხია “მაღალი კომპეტენტურობა”, წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარებში, ისევე როგორც პროფესიული თვისებების შეფასებისას რეკომენდატორის მოსაზრებით კანდიდატი არის “საუკეთესო”. გენადი მაკარიძის შეფასებისას კი ერთ-ერთმა რეკომენდატორმა 13 ღია კითვიდან 8-ს იდენტური პასუხი გასცა - “ძალიან კარგი”. პაატა შავაძის ერთ-ერთმა რეკომენდიდატორმა კი ღია კითხვებს პასუხი მხოლოდ 10 ქულიანი სისტემით გასცა. კანდიდატების შესახებ საუბრისას პოზიტიურ დამოკიდებულებას

37 მაგ.,ივერი აბაშიძე, სალომე გველესიანი, თათია გოგოლაური, თინა ვაშაყმაძე, ლაშა თავართქილაძე, გიორგი კერატიშვილი, გენადი მაკარიძე, ლავრენტი მაღლაკელიძე, თამარ ოქროპირიძე, სალომე სამხარაძე, გიზო უბილავა, ლეილა ფოლადიშვილი, ნინო ჩახნაშვილი, ამირან ძაბუნიძე.

38 მაგ., თამარ ბურჯანაძე.

39 მაგ., გოჩა აბუსერიძე, თამარ ბურჯანაძე, ქეთევან მესხიშვილი, ბიძინა სტურუა, შორენა წიქარიძე.

იჩენდნენ, თუმცა ამასთან ერთად, რეკომენდატორთა კომენტარები აშკარად არ ყოფილა ინდივიდუალური.[40] როგორც უკვე აღინიშნა, რეკომენდაციის ფორმები უშუალოდ იმეორებს საკანონმდებლო მოთხოვნებს, რომლებიც დაწესებულია მოსამართლეობის კანდიდატთა შესაფასებლად.[41] თუ რეკომენდაციის ფორმაში მხოლოდ ძირითადი ტერმინებია მოხსენიებული და არ იმეორებს ამ ტერმინოლოგიათა კანონმდებლობით გათვალისწინებულ განმარტებებს, სპეციალური კითხვარი ამ ინფორმაციას პირდაპირ კითხვის სახით აყალიბებს. კითხვათა ზოგადი ხასიათიდან გამომდინარე, რომელიც „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ჩამოყალიბებულ კრიტერიუმებს ეფუძნება, რეკომენდატორთა კომენტარები უმეტესად შინაარსობრივად იდენტურია. მაგალითად, რესპონდენტები, შეკითხვაზე, თუ როგორ წარმოაჩენდა კანდიდატი პიროვნული კეთილსინდისიერებისა და პროფესიული სინდისის მახასიათებლებს, უმეტესად პასუხობდნენ, რომ კანდიდატს ახასიათებს პატიოსნება, კეთილსინდისიერება, მოვალეობებისა და პასუხისმგებლობის შესაბამისი შეგნება, გამჭვირვალობა, კორექტულობა და სიზუსტე სამსახურებრივი ან სხვა მოვალეობების შესრულებისას.[42] ამასთანავე, კანდიდატთა მიმართ რეკომენდატორთა დადებითი დამოკიდებულება და ნაკლებ კრიტიკულობა ვლინდებოდა მათ შესახებ სისუსტეებისა და ნაკლოვანებების დასახელების დროსაც. მაგალითად, რეკომენდატორები აღნიშნავდნენ, რომ კანდიდატებს ნაკლოვანებები არ ჰქონიათ[43], ნაკლოვანებების შესახებ ინფორმაციას არ ფლობდნენ[44] ან ნაკლოვანებად ასახელებდნენ არსებითად დადებით თვისებას, მაგალითად, „გადაჭარბებულ“ ერთგულებას[45] და საჯაროდ საკუთარი შესაძლებლობების წარმოჩენისგან თავის შეკავებას.[46]

<u>ინფორმაცია სპეციალური კითხვარების შესახებ</u>

სპეციალური კითხვარის შევსებისას ადრესატი ავსებს ველს თუ საიდან იცნობს პირი კანდიდატს. სავარაუდო პასუხებს შორის არის “ყოფილი ან ამჟამინდელი თანამშრომელი”, “კოლეგა”, “ყოფილი სტუდენტი” და “სხვა” (კითხვარი ითხოვს დაკონკრეტებას). თუმცა, მიუხედავად აღნიშნული ინფორმაციის მითითებისა არ ჩანს, თუ რომელი სფეროს წარმომადგენელს გადაეგზავნა ეს ფორმა. მიუხედავად იმისა, რომ ფორმა შედგება დახურული კითხვებისგან, ადრესატს შეიძლება ჰქონდეს სურვილი განავრცოს კანდიდატთან დაკავშირებით საკუთარი პოზიცია. სპეციალური კითხვარის ფორმა კი აღნიშნულის შეაძლებლობას არ იძლევა. განსაკუთრებით საინტერესოა პაატა შავაძის შემთხვევა. იუსტიციის საბჭოს მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე მის შესახებ რეკომენდაციის წერილი შეავსო 3-მა პირმა, ხოლო სპეციალური კითხვარი 1-მა პირმა. რეკომენდაციის წერილებში კანიდატის მიმართ განსაკუთრებით პოზიტიური დამოკიდებულება იკვეთება როგორც მისი კეთილსინდისიერების, ასევე კომპეტენციის მხრივ. მათი მოსაზრებით კანდიდატი შეესაბამება საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობას. თუმცა, სპეციალურ კითხვარში კანდიდატის კოლეგა პაატა შავაძეს კეთილსინდისიერების ოთხივე კომპონენტში

40 პაატა ქათამაძის რეკომენდაციის წერილში რესპონდენტი ღია კითხვებს ძალიან მოკლედ პასუხობს. მაგალითად, 13 კითხვიდან 11-ზე, პასუხია მხოლოდ „სრულად აკმაყოფილებს“.

41 საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონის 351 მუხლი.

42 ტექსტი პირდაპირ არის ამოღებული „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 351 მუხლის მე-5 ნაწილიდან.

43 რეკომენდაცია ნინო სანდოძის შესახებ.

44 რეკომენდაცია ივერი აბაშიძის შესახებ.

45 რეკომენდაცია პაატა შავაძის შესახებ.

46 რეკომენდაცია გიორგი გოგიაშვილის შესახებ.

აფასებს უარყოფითად, კომპეტენტურობის ნაწილში კი საშუალოდ. დახურული კითხვების ფორმატიდან გამომდინარე რთულია იმის გარკვევა თუ საიდან გამომდინარეობს ასეთი მკაფიო კონტრასტი რეკომენდატორებისა და სპეციალური კითხვარის ადრესატის შეფასებებს შორის.

<u>ინფორმაცია სასამართლოდან და საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სასამართლო მენეჯმენტის დეპარტამენტიდან</u>

ბოლო სამი წლის სტატისტიკური მონაცემები საქმეთა განხილვის რაოდენობრივი მაჩვენებლების, საპროცესო ვადების დაცვისა და გადაწყვეტილებების სტაბილურობის თაობაზე,

ასევე 36 მოსამართლე კანდიდატის შესახებ მომზადდა.

<u>დამატებითი ინფორმაციის მოძიება</u>

საბჭოს შესაბამის დეპარტამენტს, ასევე ევალებოდა დამატებითი ინფორმაციის მოძიება შემდეგი საკითხების შესახებ:

ინფორმაცია კანდიდატების ფინანსური დეკლარაციების შესახებ. დეპარტამენტს ევალებოდა მოეძიებინა ინფორმაცია კანდიდატების ქონებრივი მდგომარეობის შესახებ, თუმცა საბჭოს მიერ GDI-სთვის მოწოდებული დოკუმენტებით, არც ამ ვალდებულების შესრულება დასტურდება. შესაბამისად, რთულია იმის გადამოწმება, მოიძია და შეისწავლა თუ არა საბჭომ კანდიდატთა ფინანსური დეკლარაციები და იხელმძღვანელეს თუ არა ამ დოკუმენტებით საბჭოს წევრებმა კანდიდატების შეფასებისას. აღსანიშნავია, რომ საჯარო მოხელეთა ფინანსური დეკლარაციები ხელმისაწვდომია საჯარო სამსახურის ბიუროს ვებგვერდზე[47] და მისი ნახვა ყველა დაინტერესებულ პირს შეუძლია. თუმცა, 50 კანდიდატის შესახებ ამ ინფორმაციის შეგროვება და შესწავლა მნიშვნელოვან ადამიანურ თუ დროით რესურსს მოითხოვს. იმის გათვალისწინებით, რომ უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა შერჩევა-ნომინირების პროცესი საზოგადოებრივი ინტერესის სფეროს მიეკუთვნება, ყველა პირს უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა მიიღოს ამომწურავი ინფორმაცია თითოეული კანდიდატის შესახებ და ამასთანავე, დარწმუნდეს, რომ იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ ჯეროვნად შეასრულა მასზე დაკისრებული მოვალეობა. შესაბამისად, როდესაც დაინტერესებული პირი გამოითხოვს ინფორმაციას კანდიდატის ფინანსური მდგომარეობის შესახებ, იუსტიციის უმაღლესი საბჭო ვალდებულია ეს ინფორმაცია გასცეს, მაშინაც კი, თუ ინფორმაცია საჯაროდ ხელმისაწვდომია. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ პარლამენტში წარდგენილი კანდიდატების ქონებრივი მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია საკანონმდებლო ორგანოს სრულად მიაწოდა ყველა კანდიდატის შესახებ.

მეორე მხრივ, საბჭოს შესაბამის დეპარტამენტს ასევე ევალებოდა **კანდიდატების შესახებ მედიაში გავრცელებული ინფორმაციის** მოძიებაც. იუსტიციის საბჭოს მიერ მოწოდებული მასალების მიხედვით, მედიასა და ინტერნეტსივრცეში ინფორმაცია (მათ შორის, საჯარო გამოსვლების დროს გაკეთებული განცხადებების შესახებ, გახმაურებული საქმეებისა თუ სხვადასხვა მედიისათვის საყურადღებო საკითხების შესახებ) ყველა კანდიდატის შესახებ მოიძებნა. გარდა ამისა, სოციალურ ქსელში მოსამართლეთა ანგარიშები მხოლოდ Facebook-ზე მოიძებნა. თუმცა, ხშირ შემთხვევაში, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დეპარტამენტი წერდა, რომ მოსამართლის სახელით ანგარიში არ იძებნებოდა, რაც, თავის მხრივ, მის

47 საჯარო სამსახურის ბიუროს საძიებო სისტემა, https://bit.ly/3Ei7Tcf

არსებობას არ გამორიცხავს. „უფლებები საქართველოს“ კვლევის თანახმად, „ვერ მოხერხდა საერთო სასამართლოების 112 მოსამართლის Facebook-ის პროფილის მოძიება, რაც შეიძლება განპირობებული იყოს იმით, რომ ისინი არ იყენებენ ამ სოციალურ ქსელს, ან მათი სახელები სოციალურ მედიაში არ ემთხვევა რეალურს“.[48] კვლევის ფარგლებში გამოვლინდა რამდენიმე შემთხვევა, როცა მოსამართლეთა რეალური სახელი განსხვავდებოდა სოციალურ მედიაში არსებულისაგან. საბჭოს მიერ მოწოდებული ინფორმაციიდან არ ჩანს, თუ რა პრინციპით ეძებდა შესაბამისი დეპარტამენტი კანდიდატის შესახებ ინფორმაციას ინტერნეტსივრცეში და რამდენად დეტალურად შეისწავლა მან სოციალურ ქსელში შესაბამისი ანგარიშების არსებობა.

ასევე, მოსამართლის ანგარიშის დადასტურების შემთხვევაში, იუსტიციის უმაღლესი საბჭო მხოლოდ ანგარიშის არსებობაზე მიუთითებდა, და არა თავად ამ ანგარიშზე. მოკლე კომენტარი კეთდებოდა იმის შესახებ, იყო თუ არა კანდიდატი სოციალურ ქსელში აქტიური, ნეიტრალური, თუ ანგარიში დახურული ჰქონდა. შესაბამისად, იუსტიციის საბჭოს დაინტერესებულ წევრს უშუალო წვდომა კი არ ჰქონდა მოძიებულ ინფორმაციაზე, არამედ ამ ინფორმაციაზე დაყრდნობით მოუწევდა მისთვის სასურველი ანგარიშის მოძებნა/პოვნა.

რაც შეეხება ინფორმაციას სამართალწარმოების პროცესში მონაწილეობის თაობაზე, საბჭომ 50-ვე კანდიდატის შესახებ მიმართა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სასამართლო მენეჯმენტის დეპარტამენტს და ყველა კანდიდატის შესახებ მიიღო ინფორმაცია.

იუსტიციის საბჭოს მიერ მოძიებული ინფორმაციის გაცნობის შედეგად იკვეთება, რომ ის უმეტესწილად ფოკუსირდება კანდიდატთა წარსულ მოღვაწეობაზე მთელი პროფესიული ცხოვრების განმავლობაში, ვიდრე მოცემული დროისათვის აქტუალურ საკითხებზე. მართალია, კანდიდატზე ობიექტური წარმოდგენის შესაქმნელად საჭიროა მისი კარიერული წინსვლის პროცესის შესწავლა, თუმცა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს უკანასკნელ წლებში, შერჩევის პროცედურამდე განხორციელებულ ქმედებებს. ინფორმაციის მოძიებისას მნიშნელოვანია არა მხოლოდ კანდიდატის განვითარების ჩვენება, არამედ ისეთი ინფორმაციის შეგროვებაც, რომელიც უკეთ წარმოაჩენს კანდიდატის ხასიათს, მის ღირებულებათა წესრიგსა და კვალიფიკაციას.

გასათვალისწინებელია, რომ უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა შერჩევის პროცედურაში ზემოთ ჩამოთვლილი ხარვეზების მსგავსი შეცდომები არცთუ ისე იშვიათია. მაგალითად, 2019 წელს გამოცხადებულ ერთ-ერთ კონკურსში, 4 კანდიდატის[49] შესახებ გაჩნდა ეჭვი, რომ ვერ აკმაყოფილებდნენ კანონით განსაზღვრულ მოთხოვნას, ყველა კანდიდატს ჰქონდეს უმაღლესი იურიდიული განათლების არანაკლებ მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი. ამ ინფორმაციის სრულფასოვნად გადამოწმება სწორედ იუსტიციის საბჭოს მოსამართლის საქმიანობის შეფასების მართვის დეპარტამენტის ვალდებულება იყო. დეპარტამენტის მიერ თავისი კომპეტენციის ფარგლებში ვალდებულების

48 „მოსამართლეთა გამოხატვის თავისუფლება სოციალურ მედიაში და მისი შესაბამისობა საერთაშორისო და ადგილობრივ კანონმდებლობასა და სამოსამართლო ეთიკის სტანდარტებთან“, „უფლებები საქართველო“, 2021. ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3GekOwp

49 გიორგი ტყავაძე, შოთა ლაითაძე, ზაზა თავაძე, შალვა თადუმაძე და მირანდა ერემაძე. აქედან 3 კანდიდატი პარლამენტს წარედგინა (ზაზა თავაძე, შალვა თადუმაძე (დაინიშნა უზენაესი სასამართლოს მოსამართლედ), მირანდა ერემაძე (დაინიშნა უზენაესი სასამართლოს მოსამართლედ)). საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატების იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ შერჩევის მონიტორინგის ანგარიში, 2019 ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3poIIDM

არაჯეროვნად შესრულების საფუძველზე, პარლამენტისთვის წარდგენილ პირთა შორის 3 კანდიდატის (ზაზა თავაძის, შალვა თადუმაძის, მირანდა ერემაძის) მიმართ, საზოგადოებაში სერიოზული კითხვები გაჩნდა. ამ საკითხზე საუბარი იყო საქართველოს სახალხო დამცველის 2019 წლის ანგარიშში, რომელიც საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატების იუსტიციის საბჭოს მიერ შერჩევის მონიტორინგს ეხებოდა.[50] ანგარიშის საპასუხოდ იუსტიციის საბჭოს წევრებმა გამოაქვეყნეს განცხადება[51], რომელშიც ანგარიშში მოყვანილ ინფორმაციას ფაქტობრივ უზუსტობებს უწოდებდნენ.

ამ მოვლენებმა მნიშვნელოვნად შეამცირა საზოგადოებრივი ნდობა უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა შერჩევის პროცედურის მიმართ, რომელიც დიპლომებთან დაკავშირებული გარემოებების გარეშეც მწვავე კრიტიკის საგანი იყო. ინფორმაციის უზუსტობის საკითხი განიხილა ეუთო/ODIHR-მა ანგარიშში, 2020-2021 წლების პერიოდში უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა წარდგენისა და დანიშვნის პროცესის შესახებ. კერძოდ, ანგარიშში აღნიშნულია, რომ კანდიდატების ზეპირი მოსმენისას, „იუსტიციის საბჭო მიმოიხილავდა ზოგიერთი კანდიდატის CV-ში/ბიოგრაფიაში მოცემული ინფორმაციის სიზუსტეს“[52], შესაბამისად, საბჭოს უკვე გასაუბრების ეტაპზე მყოფი კანდიდატების ბიოგრაფია ამომწურავად შესწავლილი და დამუშავებული არ ჰქონია და საბჭოს წევრებს, გასაუბრების დაწყებამდე უწევდათ კანდიდატისგან განმარტებების მოსმენა ინფორმაციის დასაზუსტებლად. ეუთო/ODIHR-ის შეფასებით, „იუსტიციის უმაღლესი საბჭო მიმოიხილავდა ზოგიერთი კანდიდატის CVში/ბიოგრაფიაში მოცემული ინფორმაციის სიზუსტეს მოსმენის პროცესში, მას არ გაუტარებია რაიმე თვალსაჩინო ღონისძიება სავარაუდო უზუსტობების წინააღმდეგ, რასაც ძირგამომთხრელი ეფექტი ჰქონდა პროცესის სამართლიანობაზე. “.[53]

50 საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატების იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ შერჩევის მონიტორინგის ანგარიში, საქართველოს სახალხო დამცველი, 2019, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/31mp2mH

51 საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს განცხადება სახალხო დამცველის ანგარიშთან დაკავშირებით, 18.10.2019. ხელმისაწვდომია: https://bit.ly/2Yg3wyv

52 ეუთოს/ODIHR-ის ანგარიში, საქართველოში უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა წარდგენისა და დანიშვნის მესამე ანგარიში, დეკემბერი 2020 – ივნისი 2021, გვ. 25. ხელმისაწვდომია: https://bit.ly/32Jv9Si

53 იქვე. გვ. 25.

საპარლამენტო სამუშაო ჯგუფი

2021 წლის 17 ივნისს საქართველოს პარლამენტისთვის წარდგენილი კანდიდატების შესახებ ინფორმაცია იურიდიულ საკითხთა კომიტეტს 25 ივნისს გადაეცა.[54] საერთო ჯამში, იუსტიციის საბჭომ საკანონმდებლო ორგანოს ყველა კანდიდატის შესახებ 3344-ფურცლიანი დოკუმენტი მიაწოდა.[55] ამავე დღეს, პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტმა, კანდიდატთა საქართველოს კონსტიტუციისა და სხვა კანონის მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის ხელშეწყობის მიზნით, სამუშაო ჯგუფი შექმნა.[56] მის შემადგენლობას კომიტეტის დამსწრე უმრავლესობის წევრებმა ერთხმად (8 ხმით) დაუჭირეს მხარი შემდგომი ფორმით:

- *13 წევრი ფრაქცია ქართული ოცნების მხრიდან*
- *1 წევრი - ფრაქცია შარლ მიშელის რეფორმების ჯგუფი*
- *1 წევრი - ნაციონალური მოძრაობა*
- *1 - წევრი ფრაქცია ლელო*
- *1 - წევრი საპარლამენტო პოლიტიკური ჯგუფი მოქალაქეები*
- *1 - წევრი საპარლამენტო პოლიტიკური ჯგუფი ევროპელი სოციალისტები*
- *1 - წევრი საპარლამენტო პოლიტიკური ჯგუფი გირჩი*
- *1 - წევრი პარლამენტის უფრაქციო წევრები*
- *1 - წევრი ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარე*
- *1 - წევრი იურიდიული დახმარების სამსახურის დირექტორი*
- *1 - წევრი საქართველოს სახალხო დამცველი*
- *2 წევრი - იურიდიული სამეცნიერო/აკადემიური სფერო - ჯონი ხეცურიანი და თამარ ზარანდია.*

სამუშაო ჯგუფის შემაჯამებელი ოქმის თანახმად, რომელიც 2021 წლის 2 ივლისს შეიქმნა, სამუშაო ჯგუფის შეხვედრები მხოლოდ ორჯერ ჩატარდა - 29 ივნისსა და 2 ივლისს. 29 ივნისს სხდომა სრული შემადგენლობით ჩატარდა. მას ესწრებოდნენ ანრი ოხანაშვილი, დავით მათიკაშვილი, გელა სამხარაული (უფლებამონაცვლე), გურამ მაჭარაშვილი, მიხეილ სარჯველაძე (უფლებამონაცვლე), ალუდა ღუდუშაური, გიორგი ამილახვარი, ნინო იობაშვილი, შალვა შავგულიძე, პაატა მანჯგალაძე, ლევან ბეჟაშვილი, თეიმურაზ ჯანაშია, ბაჩუკი ქარდავა, ლევან იოსელიანი და იაგო ხვიჩია.[57] ხოლო 2 ივლისის სხდომაში სამუშაო ჯგუფის 25 წევრიდან მხოლოდ 17 მონაწილეობდა, მათგან 11 - მმართველი პარტიის წარმომადგენელი, პოლიტიკური ჯგუფი „გირჩი“, იურიდიული დახმარების სამსახურის დირექტორი რაჟდენ

54 საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2021 წლის 25 ივნისის №396-01 წერილი, ხელმისაწვდომია:https://bit.ly/3luW6jg

55 იქვე.

56 „პარლამენტი უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატების საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისობას დაადგენს“, საქართველოს პარლამენტი, 29.06.2021. ხელმისაწვდომია: https://bit.ly/39OW3bX

57 იურიდიულ საკითხთა კომიტეტის სხდომის ოქმი №33, 29.06.2021.

კუპრაშვილი და იურიდიული სამეცნიერო სფეროს წარმომადგენლები.[58]

2021 წლის 29 ივნისის სხდომის ოქმის თანახმად, იურიდიულ კომიტეტში ოპოზიციურმა პარტიებმა არაერთხელ გამოხატეს საკუთარი უკმაყოფილება უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა შერჩევის პროცედურის მიმდინარეობის შესახებ, რადგან იგი არღვევდა ე.წ. შარლ მიშელის შეთანხმების[59] პირობებს.[60] ჯგუფის დღის წესრიგი მხოლოდ სამუშაო ჯგუფის შექმნით შემოიფარგლებოდა. სწორედ 29 ივნისს შეთანხმდა მისი შემადგენლობაც. თუმცა სხდომაზე არ განუხილავთ სამუშაო ჯგუფის წევრთა მიერ უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატთა კანონთან შესაბამისობის დადგენის მიზნით ჩასატარებელ მოქმედებათა სია, თანმიმდევრულობა, ვალდებულებები და მათი დანაწილება. 29 ივნისის შეხვედრა მხოლოდ სამუშაო ჯგუფის ჩამოყალიბებას დაეთმო.

რაც შეეხება მეორე შეხვედრას, 2 ივლისის ოქმის მიხედვით, „სამუშაო ჯგუფის წევრებმა იმსჯელეს საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის თითოეული კანდიდატის თაობაზე საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ წარმოდგენილ ინფორმაციასთან დაკავშირებით“[61], ე.ი. 3344 ფურცლისგან შემდგარი დოკუმენტის შესახებ. სხდომის ოქმიდან ცნობილი ხდება ისიც, რომ იუსტიციის საბჭოს მიერ პარლამენტში წარდგენილი კანდიდატების შესახებ შეგროვებულ ინფორმაციაში იკვეთება შემდეგი ხარვეზები:

– *კანონით განსაზღვრულ მოთხოვნათა გათვალისწინებით არ არის წარმოდგენილი 9-დან 8 კანდიდატის უმაღლესი იურიდიული განათლების შესახებ ინფორმაცია (დოკუმენტაცია წესრიგში უნდა ყოფილიყო კანდიდატთა რეგისტრაციის მომენტისათვის, ანუ შერჩევის პროცედურის პირველივე საფეხურზე)*

– *პარლამენტისთვის იუსტიციის საბჭოს არ გადაუცია ყველა კანდიდატის ჯანმრთელობის მდგომარეობის ამსახველი, იუსტიციის საბჭოში არსებული დოკუმენტების ასლები და მათი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლები.*

აღსანიშნავია, რომ ზემოთხსენებული დოკუმენტაცია პარლამენტს უნდა მიეღო კენჭისყრამდე.

ამავე დღეს, 2 ივლისის შეხვედრის შედეგად, სამუშაო ჯგუფის დამსწრე წევრებმა შეადგინეს საკუთარი შემაჯამებელი მოსაზრება, რომლის მიხედვითაც, „25 ივნისს საქართველოს პარლამენტისთვის ასარჩევად წარდგენილი საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატები შეესაბამებიან საქართველოს კონსტიტუციითა და

58 საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატების საქართველოს კონსტიტუციის ან/და სხვა კანონის მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის ხელშეწყობის მიზნით საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის მიერ შექმნილი სამუშაო ჯგუფის შემაჯამებელი სხდომის ოქმი, 02.07.2021.

59 2020 წლის ოქტომბრის არჩევნების შემდეგ საქართველოში არსებული პოლიტიკური კრიზისის ფონზე, მას შემდეგ, რაც ოპოზიციურმა პარტიებმა არჩევნების ლეგიტიმურობა არ ცნეს და ბოიკოტი გამოაცხადეს, ქართული მართლმსაჯულების საკითხი პოლიტიკურ დღის წესრიგში განსაკუთრებულად აქტუალური გახდა. პოლარიზებულ გარემოში მხარეებს შორის მოლაპარაკებები მხოლოდ პარტნიორი ქვეყნების დიპლომატიური კორპუსის მონაწილეობით იმართებოდა და სწორედ ამ მედიაციის პროცესში გაფორმდა ე.წ. შარლ მიშელის შეთანხმება. 2021 წლის 19 აპრილის შეთანხმების ერთ-ერთ ფუნდამენტურ საკითხად კი ჩამოყალიბდა მართლმსაჯულების სისტემის რეფორმირება. კერძოდ, „იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სიღრმისეული რეფორმა“.

60 იურიდიულ საკითხთა კომიტეტის სხდომის ოქმი №33, 29.06.2021.

61 საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატების საქართველოს კონსტიტუციის ან/და სხვა კანონის მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის ხელშეწყობის მიზნით საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის მიერ შექმნილი სამუშაო ჯგუფის შემაჯამებელი სხდომის ოქმი, 02.07.2021.

კანონმდებლობით დადგენილ **ფორმალურ** მოთხოვნებს".[62] თუმცა, საქართველოს კანონმდებლობა ითვალისწინებს კანდიდატთა შესაბამისობის დადგენას საქართველოს კონსტიტუციის ან/და სხვა კანონის მოთხოვნებთან და არა საქართველოს კონსტიტუციისა და კანონმდებლობის დადგენილ **ფორმალურ** მოთხოვნებთან. შესაბამისად, სამუშაო ჯგუფმა საკუთარ დასკვნაშივე დაავიწროვა თავისი ვალდებულებების ჩარჩო და დოკუმენტაციის ფორმალურად გადამოწმებით შემოიფარგლა.

უფრო კონკრეტულად, სამუშაო ჯგუფმა კანდიდატები შეაფასა შემდეგი ფორმალური მოთხოვნების მიხედვით:

- *ასაკი*
- *განათლება*
- *სამუშაო გამოცდილება*
- *ნასამართლეობა*
- *თანამდებობიდან გათავისუფლების ფაქტის არსებობა დისციპლინური გადაცდომის ან კორუფციული სამართალდარღვევის გამო;*

და გადაამოწმა საქართველოს პარლამენტისთვის წარმოდგენილი შემდეგი დოკუმენტები:

- *საერთო ინფორმაცია*
- *განცხადება და თანდართული დოკუმენტაცია*
- *რეკომენდაცია და კითხვარები*
- *ინფორმაცია კანდიდატის აქტივობის შესახებ*
- *ინფორმაცია ინტერნეტსივრცეში კანდიდატის შესახებ*
- *ინფორმაცია ფინანსური ვალდებულებების შესახებ*
- *ინფორმაცია ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტების თაობაზე*
- *ინფორმაცია დისციპლინური სამართალწარმოების/ადმინისტრაციული სახდელების შესახებ*
- *ინფორმაცია სასამართლოში წარმართულ დავებში მხარედ მონაწილეობის შესახებ*
- *სამართლებრივი დოკუმენტი*
- *სამოსამართლო უფლებამოსილება*
- *სტატისტიკური ინფორმაცია წარმოებაში არსებულ საქმეთა განხილვის თაობაზე*

62 საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატების საქართველოს კონსტიტუციის ან/და სხვა კანონის მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის ხელშეწყობის მიზნით საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის მიერ შექმნილი სამუშაო ჯგუფის წევრების შემაჯამებელი მოსაზრება საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატის შესახებ, 02.07.2021.

– *დამატებითი მასალა (კენჭისყრის დასაბუთება, შეფასება და შეფასების დასაბუთება).*

არასამთავრობო ორგანიზაციებმა, მათ შორის, კოალიციამ, „დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისათვის", არაერთხელ აღნიშნა, რომ „[საქართველოს პარლამენტის] რეგლამენტის მიერ სამუშაო ჯგუფისთვის განსაზღვრული მიზანი, კომიტეტს ხელი შეუწყოს ამ მოთხოვნებთან წარმოდგენილი კანდიდატების შესაბამისობის დადგენაში, შეუძლებელია გულისხმობდეს მხოლოდ საბჭოს გადაწყვეტილების ტექნიკურ გადახედვას. პირიქით, სამუშაო ჯგუფის ფუნქცია სწორედ ისაა, რომ კომიტეტს ხელი შეუწყოს იმის გარკვევაში, შინაარსობრივად (მატერიალურად) რამდენად შეესაბამება კანონის მოთხოვნებს იუსტიციის საბჭოს მიერ წარმოდგენილი სია".[63] დეპუტატები, იურიდიულ საკითხთა კომიტეტის წევრები ვალდებულები არ არიან, გადაამოწმონ/დაამოწმონ დოკუმენტთა ფორმალური ხასიათი. რუტინული თუ სკრუპულოზური სამუშაოს შესრულებისთვის გამოიყენება პარლამენტის აპარატი და შიდა პერსონალი. დეპუტატებს შინაარსობრივად ინტელექტუალური სამუშაოს შესრულება ევალებათ. ამ შემთხვევაშიც, ჯგუფის წევრების (დეპუტატების, ექსპერტების, აკადემიური სფეროს წარმომადგენლების) ვალდებულებაა, დაადგინონ უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატთა შესაბამისობა იმ კონსტიტუციურ თუ ნორმატიულ პრინციპებთან და მათში ჩამოყალიბებულ ღირებულებებთან, რაც არის ქართული მართლმსაჯულების სისტემის საყრდენი და, ამასთანავე, შეაფასონ მათი კომპეტენტურობა შესაბამისი თანამდებობისათვის. იურიდიული კომიტეტის სამუშაო ჯგუფის დანიშნულება არ არის დაადასტუროს იუსტიციის საბჭოს მოსამართლის საქმიანობის შეფასების მართვის დეპარტამენტის მიერ ვალდებულებების სრულფასოვნად შესრულების ფაქტი. ეს ორი სტრუქტურა სრულიად განსხვავებული პროფესიის, უნარ-ჩვევებისა და პასუხისმგებლობის მქონე პერსონალით არის დაკომპლექტებული. საზოგადოებრივი აზრის სრულად ასახვის მიზნით, სამუშაო ჯგუფი შედგება არა მხოლოდ პარლამენტის დეპუტატებისგან, არამედ, საქართველოში მოქმედი სამოქალაქო სექტორის წევრებისა და აკადემიურ-სამეცნიერო სფეროს წარმომადგენლებისგანაც. სწორედ ამიტომ, მათი საქმიანობა არ უნდა შემოისაზღვროს მხოლოდ ფორმალური მონაცემების გადახედვა, რადგან ეს ვერც პროცესის მიმართ ნდობას გაზრდის და ვერც წარდგენილი კანდიდატების შეფასებას გაამარტივებს.

უნდა აღინიშნოს, რომ 2020 წლის 2 ნოემბერს გამოცხადებული კონკურსის ფარგლებში, 2021 წლის 9 სექტემბერს კიდევ ერთი სამუშაო ჯგუფი შეიქმნა.[64] ამჯერად იურიდიული კომიტეტის სხდომას ანრი ოხანაშვილი, ირაკლი ზარქუა (უფლებამონაცვლე), შოთა ხაბარელი (უფლებამონაცვლე), გიორგი ამილახვარი, თამარ ტალიაშვილი (უფლებამონაცვლე), ალუდა ღუდუშაური, ალექსანდრე ტაბატაძე, ნინო იობაშვილი, მაია მენაღარიშვილი (უფლებამონაცვლე), შალვა პაპუაშვილი (უფლებამონაცვლე), შალვა შავგულიძე, პაატა მანჯგალაძე, ბაჩუკი ქარდავა, ლევან იოსელიანი, ფრიდონ ინჯია და მიხეილ დაუშვილი ესწრებოდნენ.[65] სხდომაზე განიხილეს სამუშაო ჯგუფის დაკომპლექტების საკითხი, კერძოდ, განისაზღვრა მისი დაკომპლექტების წესი.

63 „იურიდიული კომიტეტის მიერ სამუშაო ჯგუფის დაკომპლექტების შეფასება", კოალიცია „დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისათვის", 17.09.2019, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3peRXkA

64 „პარლამენტში, უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატის, გენადი მაკარიძის საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისობის დასადგენად, სამუშაო ჯგუფი შეიქმნა", საქართველოს პარლამენტი, 09.09.2021, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3F4Rl8i

65 იურიდიულ საკითხთა კომიტეტის სხდომის ოქმი №47, 09.09.2021.

- *13 წევრი - მმართველი პარტიის წარმომადგენელი*
- *1 წევრი - ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარე*
- *1 წევრი - იურიდიული დახმარების სამსახურის დირექტორი*
- *1 წევრი - საქართველოს სახალხო დამცველი*
- *2 წევრი - იურიდიული სამეცნიერო/აკადემიური სფერო - ჯონი ხეცურიანი და თამარ ზარანდია.*

კომისიის გადაწყვეტილებით, სამუშაო ჯგუფი მუშაობას მხოლოდ 2021 წლის ოქტომბრის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შემდეგ შეუდგა.[66] შესაბამისად, კომიტეტის თავმჯდომარემ, ანრი ოხანაშვილმა ოპოზიციას, 2021 წლის სექტემბრის ბოლომდე იმ კანდიდატების წარმოდგენისაკენ მოუწოდა, რომლებიც სამუშაო ჯგუფის საქმიანობაში ჩაერთვებიან.

დასკვნა

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატთა შერჩევა-ნომინირების პროცესში განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მონაწილეთა შესახებ ინფორმაციის შეგროვება-გადამოწმების პროცედურის სრულყოფილად, გამჭვირვალედ და მიუკერძოებლად წარმართვას. ამ ვალდებულებას სხვადასხვა ეტაპზე ასრულებენ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მოსამართლის საქმიანობის შეფასების მართვის დეპარტამენტი და საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის სამუშაო ჯგუფი.

დემოკრატიულ სახელმწიფოში, ასეთ საპასუხისმგებლო და საზოგადოებრივად მნიშვნელოვან თანამდებობაზე პირის განწესებისას, მნიშვნელოვანია, კანდიდატთა შესახებ ინფორმაციის შეგროვებისას, შესაბამისმა ორგანოებმა გამოიჩინონ სათანადო სიფრთხილე და სრულად გამოიყენონ მათ ხელთ არსებული ბერკეტები, დაიცვან გამჭვირვალობის პრინციპი და გაასაჯაროონ შეგროვებული ინფორმაცია.

მიუხედავად იმისა, რომ ორივე ინსტიტუტს მინიჭებული აქვს შესაბამისი უფლებამოსილება და რესურსები, ინდივიდუალურად მოიძიონ და შეისწავლონ თითოეული კანდიდატის შესახებ ინფორმაცია, პროცესში თავს იჩენს არაერთი ხარვეზი. ვერცერთმა პასუხისმგებელმა ორგანომ ვერ უზრუნველყო ამომწურავად შეესწავლა და გადაემოწმებინა ინფორმაცია კანდიდატების შესახებ ან გასაუბრების პროცესში გარკვეულწილად შეევსო არსებული ინფორმაციული დანაკლისი. რაც აფერხებს როგორც საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატთა შერჩევის პროცედურის ჯანსაღ გარემოში მიმდინარეობას, ასევე ამცირებს საზოგადოების ნდობას მართლმსაჯულების სისტემის მიმართ, რომელიც მოსახლეობის გამოკითხვის შედეგების მიხედვით, ძალიან დაბალია.[67]

66 იურიდიულ საკითხთა კომიტეტის სხდომის ოქმი №47, 09.09.2021.

67 საქართველოს მოსახლეობის ცოდნა და დამოკიდებულება სასამართლო სისტემის მიმართ მოსახლეობის გამოკითხვის შედეგები, „ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი“ (EMC), CRRC-საქართველო, ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI), 2018. ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3DfmFij

რეკომენდაციები

იუსტიციის უმაღლეს საბჭოს:

- *განივრცოს და საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებაში №1/41 ჩამოყალიბებულ მოსამართლეობის კანდიდატის განაცხადის ფორმა და დაემატოს შემდეგი კომპონენტები:*
    - *ინფორმაცია კანდიდატის მიერ სოციალური ქსელის გამოყენების შესახებ, მისი პირადი ანგარიშ(ებ)ის მითითების ვალდებულებით;*
    - *პედაგოგიური საქმიანობის შემთხვევაში, კურსის დასახელებასთან, უმაღლეს სასწავლებელთან და კურსის ხანგრძლივობასთან ერთად, სალექციო კურსის სასწავლო გეგმისა და გამოყენებული მასალის სიის მითითების ვალდებულება;*
    - *პოლიტიკური ან საზოგადოებრივი ორგანიზაციის წევრობის გრაფაში მიეთითოს ინფორმაცია არა მხოლოდ საზოგადოებრივი ორგანიზაციის მოქმედი წევრის სტატუსის, არამედ წარსულში ასეთი ორგანიზაციის წევრობის შესახებაც;*
    - *პროფესიული ასოციაციების ან გაერთიანებების წევრობის შემთხვევაში, მიეთითოს ორგანიზაციის სახელი, წევრობის პერიოდი და დაკავებული თანამდებობა;*
    - *თვითშეფასების გრაფაში არსებულ კითხვებს დაემატოს უფრო კრიტიკული შინაარსის კითხვები. მაგალითად, რას მიიჩნევს კანდიდატი ყველაზე დიდ შეცდომად საკუთარ კარიერაში?; რას მიიჩნევს კანდიდატი საკუთარ სუსტ მხარედ და რას აკეთებს ამის გამოსასწორებლად?*
    - *საპატიო წოდების, ჯილდოებისა და ორდენების არსებობის შემთხვევაში, დაზუსტდეს ამგვარი ჯილდოების/ორდენების გაცემის საფუძველი;*
    - *მოითხოვებოდეს თვითაცილების შესახებ გადაწყვეტილებები (ასეთის არსებობის შემთხვევაში);*
    - *იმ შემთხვევაში, თუ ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს ან გაეროს კომიტეტს მიღებული აქვს გადაწყვეტილება რომელიმე საქმესთან დაკავშირებით, სადაც კანდიდატი იყო მოსამართლე ან პროკურორი, კანდიდატმა წარადგინოს ინფორმაცია ამის შესახებ;*
    - *იმ შემთხვევაში, თუ კანდიდატს აქვს ნაწარმოები საქმე საკონსტიტუციო სასამართლოში, ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოში, მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოში ან/და საერთაშორისო არბიტრაჟებში როგორც ადვოკატს ან სამუშაო ჯგუფის წევრს, კანდიდატმა წარადგინოს ინფორმაცია ამის შესახებ;*
    - *წარადგინოს ინფორმაცია პოტენციური ინტერესთა კონფლიქტის არსებობის შესახებ საბჭოს წევრებთან მიმართებით (მეგობრული, ნათესაური, ნათელმირონული ურთიერთობები, ასევე, ყოფილი სამსახურებრივი კავშირები);*
    - *სასურველია, რეკომენდატორთაგან ერთი მაინც იყოს პროფესიულ კავშირში კანდიდატთან. აღნიშნული განმტკიცდეს ნორმატიულად;*

- *რეკომენდაციის სტანდარტულ ფორმაში დასმული კითხვები, რომლებიც უშუალოდ იმეორებს „საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანულ კანონში ჩამოყალიბებულ უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატის შერჩევის კრიტერიუმებს, შეიცვალოს ამ კრიტერიუმებთან ირიბად დაკავშირებული კითხვებით, რომლებიც უკეთ წარმოაჩენს კანდიდატთა ინდივიდუალურ მახასიათებლებს;*

- *სპეციალური კითხვარის ფორმაში გამოყენებული დახურული ტიპის კითხვები შეიცვალოს ღია ტიპის კითხვებით. ასევე, „საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანულ კანონში ჩამოყალიბებულ უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატის შერჩევის კრიტერიუმების მახასიათებლები შეიცვალოს ამ მახასიათებლებთან ირიბად დაკავშირებული კითხვებით, რომლებიც უკეთ წარმოაჩენს კანდიდატთა ინდივიდუალურ თვისებებს;*

- *წახალისდეს რეკომენდაციის სტანდარტულ ფორმასა და სპეციალურ კითხვარში რესპონდენტთა მიერ უფრო ფართო და ამომწურავი პასუხების გაცემის კულტურა;*

- *გასაჯაროებას ექვემდებარებოდეს რეკომენდაციის სტანდარტული ფორმისა და სპეციალური კითხვარის ადრესატთა საქმიანობის სფერო;*

- *იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ, პირთა კანდიდატად დარეგისტრირებამდე უზრუნველყოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატად რეგისტრაციისათვის განცხადებების წარდგენის მომენტში დაშვებული ხარვეზების დროულად გამოსწორება. ასევე, არ დაარეგისტრიროს ის კანდიდატები, რომელთა მიერ შევსებული განაცხადის ფორმა და წარმოდგენილი დოკუმენტები არ შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს;*

- *თუკი სხვადასხვა ორგანიზაციიდან ინფორმაციის გამოთხოვისას, კონკრეტული კანდიდატების შესახებ ინფორმაცია არ იძებნება, აუცილებელია, იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ დაადგინოს ამის მიზეზი;*

- *რეკომენდაციის წერილები უნდა შეავსოს ყველა რეკომენდატორმა. წინააღმდეგ შემთხვევაში, კანდიდატი, საკანონმდებლო მოთხოვნების დაუკმაყოფილებლობის გამო უნდა მოიხსნას კონკურსიდან;*

- *აუცილებელია, საბჭოს წევრებს ჰქონდეთ შესაძლებლობა სურვილის არსებობის შემთხვევაში დაათვალიერონ კანდიდატთა სოციალური აქტივობა ინტერნეტსივრცეში, შესაბამისად, საჭიროა, შესაბამისი დეპარტამენტი შედგენილ დოკუმენტებში აკეთებდეს მითითებას კანდიდატთა ანგარიშებზე სხვადასხვა ინტერნეტქსელში (მათი არსებობის შემთხვევაში).*

<u>საქართველოს პარლამენტს:</u>

- *იურიდიულ საკითხთა კომიტეტის სამუშაო ჯგუფს კონკრეტულად განესაზღვროს მანდატი უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის წარდგენილ კანდიდატებთან დაკავშირებით. დადგინდეს, თუ რა ფორმით ევალება მას უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატების საქართველოს კონსტიტუციის ან/და სხვა კანონის მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა. განისაზღვროს სამუშაო ჯგუფის მუშაობის გონივრული ვადა;*

- *დადგინდეს, რომ სამუშაო ჯგუფის ვალდებულება არ მოიცავს მხოლოდ წარდგენილი კანდიდატების საქართველოს კონსტიტუციის ან/და სხვა კანონის ფორმალურ მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენას;*

- *სამუშაო ჯგუფს დაევალოს წარდგენილ კანდიდატთა შესახებ დასაბუთებული დასკვნის მიღება.*